ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 28 აპრილი, 2021 №73 (8602) ფასი: 60 თეთრი

პოლიციამ ფონიჭალაში 3 ნარკორეალიზატორი დააკავა

გვ.5

გვ.5

„ერთი გოგო ყელში დაუჭრია, მეორე უცემია“

ლესბოსელ წყვილს სახლის მეპატრონე თავს დაესხა

„დასავლეთი ფსონს ღარიბაშვილზე დებს, წულუკიანი სარეზერვო ვარიანტია“

გვ.4

მირიან მირიანაშვილი: „გახარიასთვის „ოცნებას“ უმრავლესობის 18 წევრი უნდა „ესესხებინა“

„ნიკა მელიას რეპუტაციული დაზიანება ხდება“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „კახა კუჭავა შმაგი კობახიძის კანდიდატია. შმაგი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის ისეთივე დეიდაშვილია, როგორც უჩა მამაცაშვილი“

„ჯანდაცვის მინისტრის განცხადებები სამარცხვინოა“

ვატო სურგულაძე: „ინდურ შტამთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი, ეს არის უვიცი ადამიანების, არაპროფესიონალების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი“

გვ.3

„11 დღით კეტავენ ქვეყანას, იკეტება ყველაფერი, ტრანსპორტიც, ეს არის სრული ლოკდაუნი“

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრდება

გვ.5

გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიციამ ერთმანეთის კრიტიკა უნდა შეწყვიტოს“

„ნაცმოძრაობაში“ სამადაშვილის ადგილი არაა, რომელიც მხარდამჭერებს „სუნიანებს“ უწოდებს“

ISSN 1987-9385

2 პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა გიორგი რურუა შეიწყალა

4 „წითელი ხაზები შეეხება წამებას და არაადამიანურ მოპყრობას“

5 ახმეტაში ირაკლი ქარსელაძის დაჭრისთვის 31 წლის ზ.ც. დააკავეს

6 უკრაინამ რუსეთის კონსული პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა

ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიციამ ერთმანეთის კრიტიკა უნდა შეწყვიტოს“

„ნაცმოძრაობაში“ სამადაშვილის ადგილი არაა, რომელიც მხარდამჭერებს „სუნიანებს“ უწოდებს“

იაგო ნაცვლიშვილი

რა იცვლება ოპოზიციის პარლამენტში შესვლით და ნიშნავს თუ არა ეს პოლიტიკური კრიზისის განმუხტვის დასაწყისს? ოპოზიციის რომელი ნაწილის პოზიცია უფრო გამართლებულია და როგორ უნდა მოიქცნენ ამ ვითარებაში, რათა საერთო საქმე არ დააზარალონ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

„ოპოზიცია ბურჯანაძეს არ უნდა გაკარებოდა, რუსეთისგან ვერ მიიღო დაფინანსება და პატრიოტულ ნოტაზე გადმოვიდა“

— ოპოზიციის ნაწილი პარლამენტშია, ეს ნიშნავს თუ არა, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა განმუხტვა დაიწყო?

— ჯერ ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკურმა კრიზისმა განმუხტვა დაიწყო. უბრალოდ, მან ალბათ ფორმები შეიცვალა. დღეს ვხედავთ, რომ ერთი მხრივ მიმდინარეობს შიდა დაპირისპირება „ქართულ ოცნებაში“, ამ ეტაპზე 6-მა დეპუტატმა უკვე დატოვა მისი რიგები. არ არის გამორიცხული, რომ კიდევ მეტი დეპუტატი გამოაკლდეს და გახარიას მომავალ გუნდს შეუერთდეს. მეორე მხრივ დაპირისპირებაა თავად ოპოზიციაში. „ნაცმოძრაობა“ აკრიტიკებს დანარჩენ ოპოზიციას იმის გამო, რომ პარლამენტში შევიდნენ, მაშინ როცა, მელია ჯერ არ არის თავისუფალი.

— თუმცა, მარტო „ნაცმოძრაობა“ არ არის გარეთ დარჩენილი, სხვებიც არიან.

— კი არიან, „ევროპული საქართველოც“ არ შესულა. ამიტომ, ვერ ვიტყვით ჯერ, რომ პოლიტიკური კრიზისი დაძლეულია. პირიქით, სხვა სიბრტყეში გადაინაცვლა და მწვავე დაპირისპირებასაც ექნება ადგილი, როდესაც ამნისტიის კანონპროექტს განიხილავენ. „ოცნება“ შეეცდება დაიცვას იმ პოლიციელების პოზიციები, რომელთაც ძალაუფლებას გადაამეტეს, მეორე მხრივ, ოპოზიცია შეეცდება, რომ ეს არ გავიდეს. ამიტომაც „ცხელი“ მაისი გველოდება.

— ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც შევიდა, თავის მართლების პოზიციაში ხომ არ არის? მაგალითად, სალომე სამადაშვილმა თქვა, რომ ამნისტია ეს არის გზა არა დავიწყებისკენ, არამედ იარების მოშუშებისკენო.

— სამადაშვილი რეალურად გაემიჯნა „ნაციონალურ მოძრაობას“ და თავისი პოზიცია გააჩინია. სხვათა შორის, ხელისუფლებაშიც არის ამ თემაზე აზრთა სხვადასხვაობა და, როგორც ჩანს, ფართო მსჯელობის საგანი.

სამადაშვილს რაც შეეხება, მაინტერესებს, იარა როგორ უნდა მოიშუშო, მაშინ როდესაც, არ შეიძლება ძალადობის წახალისება და ვინც ძალადობა ჩაიდინა, მათ პასუხი უნდა აგონ. ხელისუფლება შეეცდება, რომ ამნისტია ყველას შეეხება, წინააღმდეგ შემთხვევაში ისე გამოდის, რომ მელიას თუ ათავისუფლებენ, ის არის პოლიტპატიმარი. ამას ადასტურებს ევროკავშირის მზადყოფნა, რომ გირაო ევროკავშირის ინიციატივით გადაიხადოს ევროპულმა ორგანიზაციამ. გამოდის, რომ მელიას ბრალი არ მიუძღვის და ბრალი პოლიციელებს მიუძღვით. თუ მსგავსი ტიპის კანონს მიიღებენ, ხელისუფლება აღიარებს, რომ მელია უდანაშაულოა, ხოლო პოლიციელები — დამნაშავეები.

— ოპოზიციის ნაწილმა უხერხულობა ხომ არ უნდა იგრძნონ იგივე ელისაშვილთან მიმართებაში, რომელმაც თქვა, რომ ჩემს უკან უნდა დაჯდნენ და თვალებში ვერ მიყურებენო. აქვს ასეთი განცხადების საფუძველი?

— არა მგონია ეს საფუძველი ჰქონდეს, ვინაიდან ის პარლამენტში მაშინ შევიდა, როდესაც არანაირი შეთანხმება არ არსებობდა და იმის გარანტია, რომ პოლიტპატიმრები გათავისუფლდებოდნენ. ახლა ვინც შევიდნენ, ისინი უფრო თავაწეულები უნდა იყვნენ, მათ გარანტიები მიიღეს. მიშელი ჩამოვიდა და შუამავლის ფუნქცია ჰქონდა, მერე დანიელსონი მოავლინა. მეორედაც ჩამოვიდა და დაიდო დოკუმენტი, რომლითაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ვადამდელი არჩევნები დაინიშნოს, ასევე გარანტიები მელიას და რურუას გათავისუფლებაზე.

— თუმცა გამარჯვების საფუძველი გვაქვს, როგორც ამას ასაღებს ოპოზიციის ეს ნაწილი, მეორე ნაწილი კი ფაქტობრივად ტრაგედიად აღიქვამს. სად არის სიმართლე?

— ორივეს შეიძლება დავეყრდნოთ. ერთი მხრივ, ოპოზიცია, რომელიც შევიდა, გარკვეულწილად გამარჯვებულია, რადგან მან მიაღწია შეთანხმებას და აგრძელებს ბრძოლას. მეორე მხრივ, ასევე მესმის „ნაცმოძრაობის“ პოზიციისაც. ჯერ ერთი, მათი პარტიის თავმჯდომარეა ციხეში და ამიტომაც არ შედიან. მაგრამ რეალობის გათვალისწინებით, ალბათ მაინც უნდა შევიდნენ. იმიტომ, რომ შესაძლოა „ოცნებას“ სხვა დეპუტატებიც გამოეყონ და „ოცნებამ“ დაკარგოს უმრავლესობა თუ დანარჩენი ოპოზიციაც შევა. ოღონდ მას შემდეგ, რაც მელია გათავისუფლდება. დღეს უკვე უთანხმოება ოპოზიციის შიგნით არსებობს.

— არა მარტო ოპოზიციის, არამედ თავად „ნაცმოძრაობაშიც“. იგივე სამადაშვილი დღესაც პარტიის წევრია. შესაძლოა პარტიებს სხვადასხვა პოზიციები ჰქონდეთ, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე ერთ პარტიაში როდესაც იყოფა პოზიციები, ეს რას ნიშნავს და ისიც აღსანიშნავია, რომ ამ პარტიის თავმჯდომარეობიდან გადამდგარმა გრიგოლ ვაშაძემაც მოაწერა ხელი.

— გახსოვთ, მე ერთხელ გითხარით, რომ არიან პერსონები, ვინც არ უნდა იყვნენ პარტიებში-მეთქი. თქვენ გვარის დასახელება მთხოვეთ, მაგრამ გითხარით, რომ ამის დროც მოვა-მეთქი. მაშინ მათ შორის ვგულისხმობდი სალომე სამადაშვილს. არა მგონია, რომ მისი ადგილი იყოს ამ პარტიაში მისივე პირადი თვისებებიდან გამომდინარე. ადამიანი, რომელიც თავისი პარტიის მომხრეებს „სუნიანებს“ და „ბრბოს“ უწოდებს, რაღა უნდა თქვა. თაკო ჩარკვიანმა გაავრცელა ეს ინფორმაცია და სამადაშვილსაც არ უარუყვია. ეს არის ადამიანი, რომელმაც გამარჯობის თქმა არ იცის და რახან ელჩი იყო, ზემოდან იყურება. ეს არ არის ჭორაობა, დავით გურამიშვილს აქვს ნათქვამი: „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგი როგორ უნდა ვაქოო“. სალომე სამადაშვილი აკრიტიკებს მიხეილ სააკაშვილს. იმ ადამიანს, ვინც ელჩად დანიშნა.

— ისე, საინტერესოა და ერთგვარი პარადოქსიც შეიძლება ეწოდოს იმას, რომ ერთ დროს ერთმანეთთან დაპირისპირებული ადამიანები ერთ პოზიციაზე დგანან. მაგალითად, სააკაშვილს, ბოკერიას, ბურჯანაძესა და თაკო ჩარკვიანს ერთი პოზიცია აქვთ. ამას რა ახსნა აქვს?

— მე ასე მგონია, რომ ნინო ბურჯანაძეს არ უნდა გაკარებოდნენ. თუ პროდასავლურობაზე საუბრობენ, ბურჯანაძისთვის უნდა შეეხსენებინათ, რომ უკაცრავად და პუტინთან ჩადიოდით შეხვედრებზეო. ბურჯანაძის ადგილი ამ ერთობაში არ იყო.

— ბურჯანაძე დღეს დასავლეთსა და მასთან ურთიერთობებზე საუბრობს.

— კი ბატონო. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ დასავლეთი ძალიან უყვარს, არამედ რუსეთისგან ვერ მიიღო ფინანსური დახმარება.

— ახლა დასავლეთისგან ელოდება?

— არ ვიცი. შესაძლოა არ ელოდება, მაგრამ პატრიოტულ ნოტაზე გადავიდა. ბევრია ასეთი. მაგალითად, ირინა სარიშვილი, რომელიც იგორ გიორგაძის ფონდის ხელმძღვანელი იყო და რუსეთიდან იღებდა დაფინანსებას. დღეს არ იღებს და პროდასავლური გახდა. ახლა ის „მთავარი არხის“ ხშირი სტუმარია. იგივე თაკო ჩარკვიანთანაც მაქვს კითხვები. ადამიანი კადრულობდა და იძახდა, რომ „ნაცმოძრაობა“ ჯოხებით აუპატიურებდა პატიმრებსო. ალბათ იმედი ჰქონდა, რომ ივანიშვილისგან მიიღებდა ფულს. მაშინ ამ ადამიანებმა უნდა მოინანიონ და თქვან, რომ მაშინ ცდებოდნენ და არა ისე, რომ დღეს რომის პაპზე უკეთესი კათოლიკეები გამოდიან.

გრიგოლ ვაშაძეს რაც შეეხება, მე გრიგოლ ვაშაძესა და სალომე სამადაშვილს ერთ ქვაბში ვერ მოვხარშავ. არ ვეთანხმები მის ხელმოწერას, მაგრამ ის უკვე წასული იყო პარტიიდან. მაგრამ დამსახურება არ უნდა დავუვიწყოთ და მისი დამსახურებაა, რომ საქართველომ რუსეთს მოუგო დიპლომატიური ომი.

— ეს იყო, მაგრამ ვაშაძის ქმედება უფრო უხერხული არ იყო იმ ფონზე, როდესაც გაცხადებული ჰქონდა, რომ პოლიტიკიდან წავედიო? სამადაშვილი კი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკაში, ჰქონდა განსხვავებული პოზიციები და მიიღო თავისი გადაწყვეტილება. ამაზე რას იტყოდით?

— შეიძლება ასეა, მაგრამ მარტო ამ ქმედებით არ უნდა შეაფასო, საერთო ჯამში უნდა შეაფასო. მაშინ ისე გამოდის, რომ ნინო ბურჯანაძე უკეთესი გამოდის, ვიდრე გრიგოლ ვაშაძე. მთლიანად ვაფასებ მე. შეცდომა ყველას მოსდის.

— ამ ვითარებაში ფაქტია, რომ ოპოზიციაში არის დისკუსია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს აწყობს მხოლოდ ბიძინა ივანიშვილს. რა უნდა გააკეთონ ამ ვითარებაში, რომ საერთო საქმე არ დააზარალონ?

— ერთიანობა უნდა შეინარჩუნონ და არ უნდა აკრიტიკონ ერთმანეთი, რატომ შეხვედი პარლამენტში ან რატომ არ შეხვედიო. ორივე პოზიციას აქვს არგუმენტები. მე, როგორც რიგით მოქალაქეს, მეც მაქვს არგუმენტები, რომ ორივე მხარე გავამართლო. მაგრამ ვერაფრით დავეთანხმები ელისაშვილს, რომელიც შეთანხმებამდე შევიდა და იქამდე, სანამ რაღაც გარანტიები იქნებოდა. ამას გარდა გვახსოვს, ის სალომე ზურაბიშვილს 21-ე საუკუნის ორჯონიკიძეს ეძახდა, რომ ზურაბიშვილი ამბობდა, ომი საქართველომ დაიწყოო, მაგრამ ივანიშვილს რატომ უჭერდა მხარს, როცა ისიც ამავეს აცხადებდა?! — იმიტომ, რომ ივანიშვილისგან ფულს ელოდებოდა. მერე, როცა „ოცნების“ კრიტიკა დაიწყო, „მთავარი არხის“ ხშირი სტუმარი გახდა.

— თავის დროზე მეც ვუჭერდი მხარს „ოცნებას“, თუმცა იმ პარტიამ მალევე დატოვა კოალიცია, რომელიც მომწონდა...

— ალბათ ალასანიას უჭერდით და გჯეროდათ, რომ ამის გამო „ოცნება“ პროდასავლურ კურსს გაატარებდა და თქვენ ალბათ ფულს არ ელოდებოდით ბიძინასგან. ეს განსხვავებაა თქვენსა და ამ ხალხს შორის. შეიძლება უჭერდე კიდეც და გწამდეს, რომ „ოცნება“ მოვიდოდა და პროდასავლურ კურსს გაატარებდა. გულწრფელად ვინც პოზიციას გამოხატავს, ყველას პატივს ვცემ. მაგალითად, ჩემი უფროსი მეგობარი სტალინისტია. მიუხედავად იმისა, რომ მისი პოზიცია ჩემი პოზიციისგან რადიკალურად განსხვავდება, პატივს ვცემ მის მოსაზრებას, რადგან გულწრფელად სწამს. მაგრამ, სამადაშვილი ელჩი აღარ იყო, როცა „ოცნება“ მოვიდა და ამიტომ გაწევრიანდა „ნაცმოძრაობაში“. ანუ, თავისი პირადი ინტერესი გააჩინია, ახლა არც კი შეათანხმა პარტიასთან, ისე შევიდა პარლამენტში. ამაზე მაქვს საუბარი, თორემ განსხვავებულ აზრს პატივს ვცემ.

პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა გიორგი რურუა შეიწყალა

„მელია უნდა გამოვიდეს ციხიდან, ნაციონალები პარლამენტში უნდა შევიდნენ“

წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ გიორგი რურუამ საპატიმრო პრეზიდენტის მიერ შეწყალების შემდეგ დატოვა.

პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გიორგი რურუა გუშინ, 27 აპრილს, შეიწყალა.

ციხიდან გამოსულმა რურუამ საქართველოს პარტნიორებს და მეგობრებს მადლობა გადაუხადა.

— თავისუფლებას ვერ შეგიფასებთ, მაგრამ პირველი, რაც მინდა ვთქვა, მადლობა მინდა ვუთხრა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს, შარლ მიშელს, ასევე მადლობა მინდა ვუთხრა აშშ-ის ელჩს, ქალბატონ დეგნანს, ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ევროკავშირის ელჩს, კარლ ჰარცელს, ჩვენს იმ მეგობრებს სენატში, შაჰინს და რიშს. მადლობა მინდა ვუთხრა ევროპარლამენტარებს, ჩვენს დიდ მეგობარს კუბილიუსს და სხვებს. ახლა, რაც მთავარია, პირველი პუნქტის ნახევარი შესრულდა, კრიზისის დასაძლევად მნიშვნელოვანია, რომ მეორე ნახევარიც შესრულდეს და ნიკა მელიამ სასწრაფოდ დატოვოს უკანონო პატიმრობა, — განაცხადა რურუამ.

ნიკა მელიასა და ოპოზიციის ნაწილისგან განსხვავებით, გიორგი რურუა ოპოზიციის მიერ შეთანხმებაზე ხელმოწერას არ აკრიტიკებს.

— მე ნიკას პირველივე დღეს დიტოს პირით შევუთვალე ჩემი აზრი, ამას ჩემთვის დავიტოვებ, მაგრამ მე რომ ნიკას ადგილზე ვიყო, ევროკავშირის გირაოს მივიღებდი. ნიკასი მესმის სრულიად, ის არის მართალი, პატიმრობას იხდის გავრილოვის ხარკისთვის და ვუსურვებ, რომ მალე დატოვოს და ეს ერთი ნაბიჯი გადაიდგმება კრიზისის დასაძლევად.

მე პარლამენტში ვინც შევიდა, იმ დეპუტატებს ვუსურვებ წარმატებას, მე ვფიქრობ, რომ ეს არის წარმატება. ამნისტიის პუნქტი რომ მოვისმინე, მეც ვერ მივხვდი და მეც ჩემს თავზე ვიღებ, რომ ეს შეგვეშალა და, სამწუხაროდ, ასე მოხდა, მაგრამ დანარჩენი 4 მისაღებია და ის 4 პუნქტი უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. ახლა ნიკა უნდა გამოვიდეს სწრაფად, „ნაციონალური მოძრაობაც“ უნდა შევიდეს პარლამენტში და დანარჩენი პარტიებიც, — განაცხადა გიორგი რურუამ.

მან აღნიშნა, რომ თავს უდანაშაულოდ ცნობს.

— ალბათ, თავისი დანაშაული გამოასწორეს. მე შესაწყალებელი ნამდვილად არ მქონდა. მე ერთხელ შემომთავაზეს შეწყალება, შემომთავაზეს, რომ მეღიარებინა დანაშაული, ეს 8 მარტის შეთანხმების შემდეგ და მე უარი ვთქვი იმიტომ, რომ თავს დამნაშავედ არ ვცნობ, — განაცხადა რურუამ.

მან განმარტა, თუ რატომ უწოდებდა თავს პოლიტიკურ პატიმარს:

— რადგან ამ საქმიანობაში ვიყავი, როგორც მოქალაქე, როგორც სამოქალაქო ორგანიზაციის წევრი, როგორც ფიზიკური პირი და ანტისაოკუპაციო მოძრაობას ვეხმარებოდი. ისე „მთავარი არხის“ ერთ-ერთი მეწილე ვარ. სახლში მიმავალი დამიჭირეს, მიმიყვანეს და მითხრეს, იარაღი გიდევს ჯიბეშიო.

გიორგი რურუამ ამნისტიის მნიშვნელობაზეც ილაპარაკა.

— საერთოდ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ საერთო-ეროვნული ამნისტიაც გამოცხადდეს, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ახლა გამოუძიებელ საქმეში, რომელ ამნისტიაზე უნდა ვლაპარაკობდეთ. მთავარია, რომ გამოძიება ჩატარდეს, შემდეგ დაზარალებულები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას, აპატიებენ თუ არა. ამის მერე, ისინი თუ აპატიებენ, მე წინააღმდეგი არ ვიქნები, რომ შეწყალება მოხდეს, — განაცხადა რურუამ.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ჯანდაცვის მინისტრის განცხადებები სამარცხვინოა“

ვატო სურგულაძე: „ინდურ შტამთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი, ეს არის უვიცი ადამიანების, არაპროფესიონალების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, თანდათან მძიმდება ქვეყანაში ეპიდსიტუაცია. განცხადებებიც საკმაოდ მძიმეა ეპიდემიოლოგების მხრიდან. თქვენ რამდენად მუქ ფერებში ხედავთ და რამდენად სავალალოა სიტუაცია?

– სავალალო არ არის სიტუაცია თუ კარგად მოვიქცევით და სწორად მოვიქცევით. აპრილში დაიწყო მესამე ტალღა და რატომ იძახიან, რომ დაიწყება. უკვე დაწყებულია. რა ჰგონიათ, მესამე ტალღა რომ მაინცდამაინც პირდაპირ 5 ათასმა შემთხვევამ უნდა ლეწოს?! არა, ბატონო, მესამე ტალღა დაწყებულია. მზაობა გვაქვს არც ისე კარგი. ისევ გაჩნდა პრობლემები საწოლებთან დაკავშირებით და ისევ გაჩნდა პრობლემები სწრაფ ტესტებთან. მართალია მე დიდი მომხრე არა ვარ ამ სწრაფი ტესტების, მაგრამ ვერ უზრუნველყო ქვეყანამ ეს საკითხი, შეიქმნა სწრაფი ტესტების დეფიციტი. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მმართველები, ვინც მართავენ ამ სიტუაციას, არაფრად არ ვარგანან.

– სერიოზული პანიკაა ინდურ შტამთან დაკავშირებით, ამაზე რას იტყვით?

– ეს არის სრულიად გაუნათლებელი ადამიანების საუბარი. მანამდე ბრიტანულ შტამზე ატეხეს ერთი ამბავი. ბრიტანული შტამი შემოვიდა და რა გვეშველებაო, შემოვიდა და მერე რა მოხდა? არც არაფერი არ მოხდა. როგორც მიმდინარეობდა ეს დაავადება, როგორც უნდა წასულიყო, ისე წავიდა. ინდურ შტამთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი, ეს არის უვიცი ადამიანების, არაპროფესიონალების მიერ ატეხილი აჟიოტაჟი. დადასტურებით ჯერ არავინ არ იცის, ეს წარმოადგენს თუ არ წარმოადგენს რაიმე პრობლემას. მე რომ მკითხოთ, არ უნდა წარმოადგენდეს. რა მნიშვნელობაა ინდურია თუ ფინიკინური, ეს არაფერს არ ცვლის მიდგომაში. საჭიროა იგივე მკურნალობა, იგივე მეთოდები თავდაცვის. ნიღაბი, დისტანცია, ნაკლები ადამიანების თავშეყრა. არ უნდა მოვაწყოთ ღრეობა, 200-კაციანი ქორწილები და ქელეხები.

– არსებული ვაქცინები არ შველის ინდურ შტამსო და ესეც უვიცების ნათქვამია?

– ვინ თქვა, რომ არ შველის?! ეს არის უვიცი, პანიკის ამტეხი ანტივაქსერების განცხადება. რა მტკიცებულებებზეა აგებული ეს პოსტულატი?! არ არსებობს ამის მტკიცებულებები! ეს არის მავნებლობა, მსოფლიო მასშტაბით. არავინ ჯერ არაფერი არ იცის. მე არ მგონია იმაზე სასწაული იყოს ეს ინდური, ვიდრე ბრიტანულია. გამოდის ჩვენი ჯანდაცვის მინისტრი და აცხადებს, ჩვენი ამოცანაა, ინდური შტამი ქვეყანაში არ შემოვუშვათო. სასაცილოა ეს განცხადება, აბა რა არის?! ეს უკვე, მართლა უვიცობის აპოთეოზია. რას ჰქვია არ შემოვუშვათ ქვეყანაში ინდური შტამი?! რა, კონტრაბანდაა?! ამასაც ვერ აჩერებენ, თორე კი. ჩვენი მთავრობა და განსაკუთრებით ჯანდაცვის სამინისტრო დიდ არაკომპეტენტურობას ავლენს. ჯანდაცვის მინისტრის მხრიდან ასეთი განცხადებები, სამარცხვინოა, ძალიან სამარცხვინოა!

– დღეიდან იწყება რეგისტრაცია 18 წელს ზევით მოსახლეობისთვის ჩინურ ვაქცინაზე. რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– კი ბატონო, იწყება. მე ვერაფერს ვერ ვიტყვი, ეს ვაქცინა კარგია თუ ცუდი. თუ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები, ასევე ევროკავშირის ქვეყნები, ასევე ევროკავშირის მედიკამენტების სააგენტო და ჯანმო, მისცემენ ავტორიზაციას ამ ვაქცინას, მე ვიქნები ერთ-ერთი პირველი, ვინც გააკეთებს ამ ვაქცინის პოპულარიზაციას.

„11 დღით კეტავენ ქვეყანას, იკეტება ყველაფერი, ტრანსპორტიც, ეს არის სრული ლოკდაუნი“

– ჯერ ხომ არ მიუცია ავტორიზაცია და რატომ ვჩქარობთ?

– ზუსტად მანდეთ მივდიოდი. ეს განხილვა იქნება 29 აპრილს. დაგვცადა კიდევ სამი-ოთხი დღე. 27-ში დაიწყება თუ 30-ში, ამით დიდად არაფერი არ იცვლება ჩვენთან, ამიტომ ჯობდა დავლოდებოდით. აქ სხვა პრობლემაა. ვაქცინები აღარ აქვთ და აი ეს არის მაგათი მთავარი და რეალური პრობლემა.

– ამოიწურა ვაქცინის მარაგი და ვართ მხოლოდ ჩინურის იმედად?

– დიახ, ჯერჯერობით ვართ მარტო ჩინურის იმედზე. თურქეთში, ჩინური ვაქცინა, პირველ ვაქცინას ვგულისხმობ, გაკეთებული აქვს მოსახლეობის 23%-ს. ეს არ არის ცუდი მაჩვენებელი. სრულად ვაქცინირებული თურქეთში არის მოსახლეობის 10%. ამის მიუხედავად, ხომ ხედავთ თურქეთში რაც ხდება?! დღეს იყო 37 ათასი ახალი შემთხვევა.

– ეს აჩენს კითხვებს, რომ არ მუშაობს ჩინური ვაქცინა? აქეთ მიდიხართ?

– არ ვიცი. მე ძალიან მიჭირს ამის თქმა. ძალიან მაღალი მაჩვენებელი აქვთ ყოველდღე და ვნახეთ, რომ თურქეთმა დახურა ქვეყანა, მთლიანად ლოკდაუნია. შესაძლოა, ეს თავად თურქეთის ბრალია, რომ სხვა რეგულაციებს არ იცავს. თუ იქნება ჯანმოს აღიარება, მე ვიქნები ერთ-ერთი პირველი, ვინც დაიწყებს ჩინური ვაქცინის პოპულარიზაციას. ჯერჯერობით ძნელია ამაზე საუბარი.

– ახალი შეზღუდვების შესახებ გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი. საკმაოდ მკაცრი შეზღუდვებია. ფაქტიურად ორი კვირით ჩერდება ყველაფერი. ეს რამდენად გვიშველის? მეორე მხრივ, ეს შეზღუდვები ეკონომიკას აზარალებს.

– საშინელ დღეში ვართ. ვაქცინაცია ჯერ 0.9%-საც ვერ აცდა. ამიტომაც ვამბობ, რომ საკმაოდ რთული სიტუაციაა. ზოგადად მსოფლიოშია რთული და ჩვენთან ძალიან რთულია.

– ეს ჩაკეტვა რამდენად გვიშველის?

– ზოგადად ჩაკეტვა ყოველთვის შველის. ესენი გაიძახიან სააღდგომოდ ვკეტავთო, მაგრამ ლოკდაუნია, ტიპიური ლოკდაუნი. 11 დღით კეტავენ ქვეყანას. არც შიდა ტრანსპორტი, არც არაფერი არ მუშაობს. ყველაფერი იკეტება, შესაბამისად, ისევ დაიკეტება ეკონომიკა, ისევ ჩავარდნა გვექნება ეკონომიკის. იმის მაგივრად, გამოიყვანონ პოლიცია და მოსახლეობას წესრიგის დაცვისკენ მოუწოდონ, გაამკაცრონ რეგულაციები, ყველგან მივიდნენ, ყველგან შეამოწმონ, აი ამისთვის არის პოლიცია და არა მიტინგების დასაშლელად. პოლიცია ახლა სხვაგან უნდა იყოს. იგივე სოფლებში, სადაც 200-კაციანი ქორწილები და ქელეხები იმართება. მე ვერავინ დამაჯერებს, ადგილობრივმა პოლიციამ არ იცოდეს, რომ იქ ტარდება ქორწილი. გამოაცხადოს „ქართულმა ოცნებამ“ თავისი ადმინისტრაციული რესურსის სრული მობილიზება, ახლა უნდა გააკეთონ ეს და არა საარჩევნოდ, არჩევნების გასაყალბებლად.

– რამდენად მძიმე იქნება მესამე ტალღა და რამდენად ხანგრძლივი?

– ხანგრძლივი იქნება, ალბათ ისე, როგორც მთელ მსოფლიოში. სადღაც ივნისის შუა რიცხვებამდე გასტანს და მერე კლებას დაიწყებს ეს ტალღა. თუმცა ჯერჯერობით წავა ზევით და ზევით. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ როგორ მოვიქცევით, როგორ დავიცავთ წესებს. ეს წესების დაცვა ყველას თანაბრად უნდა ეხებოდეს, მილიონერსაც, მილიარდერსაც, პარლამენტარსაც. ზოგისთვის რომ ნებადართულია ეს ღრეობები და დაბადების დღეები, უნდა დამთავრდეს ეს ორმაგი სტანდარტები. წესების დაცვისას, პირველი მაგალითი უნდა იყოს მმართველი სტრუქტურა. ჩვენთან ასე არ არის და აი ეს არის დიდი პრობლემა. ყველა თანაბრად უნდა დაისაჯოს და კანონი ყველასთვის უნდა კანონობდეს. სასწაული ჩავარდნაა ეკონომიკის და ყოველი დღე ჩაკეტილობის, სულ უფრო და უფრო აღრმავებს ამ პრობლემას.

„ნიკა მელიას რეპუტაციული დაზიანება ხდება“

დავით ჭიჭინაძე: „კახა კუჭავა შმაგი კობახიძის კანდიდატია. შმაგი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის ისეთივე დეიდაშვილია, როგორც უჩა მამაცაშვილი“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, დოკუმენტზე ხელმოწერის შემდეგ, პარლამენტის პლენარულ სხდომას ოპოზიცია დაესწრო. როგორ აფასებთ განვითარებულ მოვლენებს?

– ეს იყო ოპოზიციის მხრიდან სამარცხვინო, უსუსური მცდელობა მათი საქციელის „გაპრავების“. ოპოზიციამ „ქართულ ოცნებას“ მისცა საშუალება, რომ ცინიკური განცხადებები გაეკეთებინათ ნიკა მელიასთან დაკავშირებით და თურმე ქვეყანაში კრიზისი ხელოვნური ყოფილა. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს ადამიანები საერთოდ ვერ გრძნობენ ქვეყანაში არსებულ რეალობას. სხდომათა დარბაზში არაადეკვატური განცხადებების კორიანტელი იყო.

ამნისტიას, რომელსაც ხელისუფლება საკუთარი თავის გადასარჩენად იფორმებს, ეს ადამიანები „აპრავებენ“. ერთადერთი, რასაც იტყვის ოპოზიცია, იქნება ის, რომ კენჭისყრაში არ მიიღებენ მონაწილეობას, მეტი არაფერი. რა მივიღეთ – პარლამენტში გამოჭიმული გამოპრანჭული ოპოზიცია და ციხეში დატოვებული ნიკა მელია.

„მივიღეთ პარლამენტში გამოჭიმული გამოპრანჭული ოპოზიცია და ციხეში დატოვებული ნიკა მელია“

– ნიკა მელია მზად არის, ევროკავშირის გირაოს დათანხმდეს. ოპოზიცია ამნისტიის უკან გაწვევას შეძლებს?

– არა, მსგავსი არაფერი არ იქნება. ნიკა მელიას რეპუტაციული დაზიანება ხდება. საკუთარი თავი უნდათ გამჭრიახ, ქვეყანაზე მზრუნველ პოლიტიკოსებად წარმოაჩინონ, ნიკა მელია კი უგუნურ, ქვეყნის მოძულე პოლიტიკოსად. თქვეს კიდეც, ქვეყანას ერთ ადამიანს ვერ გადავაყოლებთო. არადა, ნიკა მელია რომ არ წასულიყო ციხეში და გირაო გადაეხადა, არც მიშელს ემახსოვრებოდა საქართველო, არც ამ ოპოზიციის სახელი და გვარები ეცოდინებოდა ვინმეს და არავითარი შეთანხმებაც არ იქნებოდა. ამ დროს რას ვხედავთ, თვითონ პარლამენტში შეცუნცულდნენ, ნიკა მელია კი ციხეში დატოვეს.

– რაც შეეხება არჩილ თალაკვაძის ჩანაცვლებას კახა კუჭავათი, რას იტყვით, რას შეეწირა თალაკვაძე?

– თალაკვაძე ამ გარიგებას შეეწირა. „ქართულმა ოცნებამ“, რომელსაც ღარიბაშვილი ეპოტინება, ძალიან დიდ ხიფათად აღიქვა ეს ყველაფერი. ვინც იცნობს არჩილ თალაკვაძეს, ის მიხვდება, რასაც ვგულისხმობ. საკმაოდ უკონფლიქტო ადამიანია და „ოცნება“ მიხვდა, რომ მეტი კომპრომისი მათთვის დამღუპველი იქნებოდა. ეს გარიგება მათ სავარძლებს ეხება, რომლის დატოვებაც მოუწევთ ძალიან მალე. რაც არ უნდა ოპოზიცია შეიყვანონ პარლამენტში, ეს „ოცნება“ 2024 წლამდე ამ პარლამენტში ვერანაირად ვერ იქნება. ამიტომ, ივანიშვილს ეს შეთანხმება უკვე აწყობდა კიდეც, რადგან მან სხვა პროექტი „დაქოქა“.

– გახარიას გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა, გახარიას. ივანიშვილმა კარგად იცის, რომ მას მოუწევს ხელისუფლების დათმობა, ანუ ის ხვდება, რომ ერთპარტიულად უკვე ვეღარ მართავს ქვეყანას. ამიტომ, ის წავა კოალიციურ მმართველობაზე, სადაც თევზი წყალში ისე იქნება.

– კოალიციური მთავრობა შეიძლება ივანიშვილს აწყობდეს?

– დიახ, რა თქმა უნდა. ის უკვე მივიდა ამ დასკვნამდე. თუმცა, ასეთი კოალიციური მთავრობა რეალურ სასამართლო რეფორმას, პროკურატურის სისტემის რეალურ რეფორმას ვერასდროს ვერ ჩაატარებს. ასეთი მთავრობა ვერასდროს მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ რაღაც ქვეყნის სასიკეთოდ ძირეულად შეცვალოს.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ასეთი კოალიციური მთავრობები ყოველთვის სუსტია. ასეთი კოალიციები გარიგების შედეგია და არა ხალხის გადაწყვეტილების, ხალხის არჩევანის შედეგი. ეს განსხვავებაა.

– როგორ ფიქრობთ, რატომ მაინცდამაინც კახა კუჭავა? ამბობენ, რომ ის ივანიშვილის კადრია. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– დიახ, კახა კუჭავა შმაგი კობახიძის კანდიდატია. შმაგი კობახიძე ბიძინა ივანიშვილის ისეთივე დეიდაშვილია, როგორც უჩა მამაცაშვილი.

– კუჭავა მისი წარდგენით მოხვდა პარლამენტში?

– დიახ.

– როგორი თავმჯდომარე იქნება?

– რა პარლამენტიც არის, რა ოპოზიციაც არის, ისეთი თავმჯდომარეც იქნება. ზოგიერთმა მათგანმა, აღმოსავლეთს რატომ ჰქვია აღმოსავლეთი, ის არ იცის და ვერ არჩევს დასავლეთისგან. ბევრი პრობლემაა. მასწავლებლებია საჭირო ბევრი მიმართულებით. ერთადერთი, რისი მასწავლებელიც არ არის საჭირო, ისაა, თუ როგორ ძარცვონ ქვეყანა. ეს მიმართულება კარგად იციან. ამას იქით ასწავლიან გნებავთ ოპოზიციიდან, გნებავთ – ხელისუფლებიდან. თუმცა, მხოლოდ წელიწადნახევრით არის ეს პარლამენტი და რაც მალე დაიშლება, მით მალე დაიწყება ცვლილებები.

2021, 28 აპრილი, №73

„დასავლეთი ფსონს ღარიბაშვილზე დებს, წულუკიანი სარეზერვო ვარიანტია“

მირიან მირიანაშვილი: „გახარიასთვის „ოცნებას“ უმრავლესობის 18 წევრი უნდა „ესესხებინა“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოს პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამფუძნებელსა და ყოფილ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.



– ევროკავშირის მედიაციით ხელმოწერილი დოკუმენტის შემდეგ პოლიტიკური კრიზისი საქართველოში მოგვარებულად გამოცხადდა. ითქვა, რომ იწყება მისი რეალიზაცია. ამ ფონზე გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე. ეს ხომ არ მოასწავებს კრიზისის განახლებას?

– ის კრიზისი, რომელიც საქართველოში არსებობდა, სხვა სიბრტყეში უნდა განვიხილოთ. სინამდვილეში, ეს ჩვეულებრივი კრიზისი არ ყოფილა.

– ის ხელოვნურია?

– ის იყო და ნაწილობრივ ჯერ კიდევ არის დირიჟირებული რუსეთიდან. თალაკვაძის გადაყვანა სხვა პოზიციაზე ამას ემსახურება. ეს სხვა არაფერია, თუ არა ნაციონალური მოძრაობის თამაშში დატოვების სურვილი.

– გითქვამთ ჩვენთან ინტერვიუებში, რომ კრემლი ივანიშვილის დახმარებით გეგმავს „ქართული ოცნების“ ჩანაცვლებას. ამ ჩანაფიქრის განხორციელება ბევრჯერ ჩავარდა. „ოცნება“ ზოგ შემთხვევაში უნდა შეცვლილიყო ნაციონალური მოძრაობით, ზოგიერთი გეგმით – „ევროპული საქართველოთი“ „ლელოსთან“ ერთად. ამჯერად ნაციონალური მოძრაობაზე საუბრობთ?

– დიახ. შარშან მაისიდან პოლიტტექნოლოგიები ამოქმედებული იყო რევოლუციის მოსამზადებლად. რუსეთი საქართველოში აწყობდა რევოლუციას.

– პარლამენტის არჩევნების შემდეგ?

– არჩევნების შემდეგ განზრახული ჰქონდათ ძალაუფლების გადაბარება. ამაში აქტიური როლი ეკუთვნოდა ნაციონალური მოძრაობის მაშინდელ თავმჯდომარეს, გრიგოლ ვაშაძეს. თუ გახსოვთ, „ახალ თაობასთან“ ნათქვამი მაქვს, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, მოსკოვი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ გრიგოლ ვაშაძე გამხდარიყო საქართველოს პრეზიდენტი. ეს იყო რუსეთის ერთ-ერთი ჩინოსნისა და მოღვაწის, საქართველოზე მომაგრებული სურკოვის იდეა. რუსეთმა გრიგოლ ვაშაძე პრეზიდენტად ვერ გაიყვანა. რუსული სქემები გადმოვიდა 2020 წელს. რევოლუციური სცენარის შესახებ ცნობილი იყო აშშ-სთვის. რასაკვირველია, ვაშინგტონი საქართველოში რუსეთს რევოლუციას არ მოაწყობინებდა. აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა ამის შესახებ გააფრთხილა საქართველოს ხელისუფლება. აშშ-მ რევოლუცია არ დაუშვა. ამაში პიროვნული წვლილი მიუძღვის კელი დეგნანს.

– არჩევნების შემდეგ სიტუაცია მაინც აირია?

– შეიძლება ითქვას, რუსეთმა გაზს ფეხი დააჭირა და არ აუშვა. პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა თავი იჩინა. რომ არა აშშ-ის დამსახურება, სრული ქაოსი იქნებოდა ქვეყანაში.

– რუსეთს თავის გეგმებზე უარი მაინც არ უთქვამს?

– რუსეთმა საქართველოში ბევრი ფიასკო განიცადა, თუმცა ჯერ კიდევ ინარჩუნებს რაღაცის იმედს. რუსები ნაციონალებს ტოვებენ პარლამენტს მიღმა იმისთვის, რომ ცეცხლის გაჩაღება გაუადვილდეთ. ეს თავისებური ვაჭრობა და მუქარაა ამერიკელებთან.

– დააზუსტეთ.

– რუსეთი იმუქრება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩაშლითაც. ამ ვითომ ოპოზიციას მოაწყობინებენ ბოიკოტს. მუქარის არსი შემდეგია – თქვენ (დასავლეთი) პროდასავლურად არ აღიარებთ იმ ოპოზიციას, რომელსაც მე დავარქვი პროდასავლური. ამის სანაცვლოდ მე მოგიწყობთ არეულობას და ჩაგიშლით არჩევნებს.

– თალაკვაძის გადაყენებას რა დატვირთვა აქვს ამ ვითარებაში?

– ივანიშვილი ისევ აკონტროლებს საქართველოში რუსების მიერ მოფიქრებულ კონსტრუქციას. ეს არის ორპოლუსიანი სისტემა. თალაკვაძის გადაყენებით ივანიშვილი ცდილობს დააბრუნოს ორპოლუსიანობა. ორი ძალიდან ერთი თუ ინგრევა, მას მეორე ძალაც მიჰყვება. ნაცმოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიას წონას უმატებენ. ისე, ნაციონალური მოძრაობა სულს ღაფავს. იქმნება სურათი, თითქოს ნიკა მელიას წყალობით კრიზისი მაინც შეიქმნა – პარლამენტის თავმჯდომარე თალაკვაძე ნიკა მელიას „სწორი და გმირული“ მოქმედებების გამო გადადგა.

– ამით კრიზისი ბრუნდება?

– არჩილ თალაკვაძე არ არის იმ პოლიტიკური წონის ფიგურა, რომ მისი გადანაცვლების გამო კრიზისი დაბრუნდეს. პარლამენტში სხვა, უფრო მასშტაბური პროცესების დაქოქვა იყო ნავარაუდევი –გახარიას უნდა გაჰყოლოდა ბევრი დეპუტატი. სხვა სიტყვებით, გახარიასთვის უნდა „ესესხებინათ“ პარლამენტის უმრავლესობის 18 წევრი.

– ეს ვერ მოხდა და გახარიას გამო მხოლოდ 6 კაცი გაეცალა უმრავლესობას?

– ეს მზაკვრობა ჩაუფლავდათ. მაგისთვის იყო აშშ-ში დაბარებული ირაკლი კობახიძე, რომ ეს კრიზისი არ გაღვივებულიყო.

– ამ ეტაპზე აშშ ლოიალურია საქართველოს ხელისუფლების მიმართ?

– კონკრეტულად ღარიბაშვილის მიმართ დროის ამ მონაკვეთში არსებობს ნდობა. ის არის ტექნიკური პრემიერ-მინისტრი. ამ სიტუაციაში რას იზამენ გახარიასა და კალაძის ჯგუფები ივანიშვილის დირიჟორობით, არსებითი აღარაა. ღარიბაშვილს დასავლეთი ნორმალურად ეკიდება. დასავლეთი ამ მომენტში ფსონს ღარიბაშვილზე დებს. წულუკიანი სარეზერვო პრემიერად განიხილება. თუ ღარიბაშვილი რაღაცას გააცუდებს, მას შეცვლის წულუკიანი, რომელიც თავისუფალია ივანიშვილისა და რუსეთის გავლენებისგან. ეს ღარიბაშვილმაც იცის.

– მმართველი პარტიის თავმჯომარედაც პერსპექტივაში ეს ხალხი მოიაზრება?

– არა. დასავლეთის თვალში „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ფუნქცია წარსულს ჩაბარდა. მთავრობას უყურებენ ტექნოკრატიული და არა პოლიტიკური კუთხით. აშშ-მ და ევროპამ გადაწყვიტა, საქართველოსთვის დაბრუნოს ტრანშები, რომლებიც შეჩერდა გახარიას დროს.

– გახარიას რა პოლიტიკური მომავალი შეიძლება ჰქონდეს?

– გახარია მიშელის პროცესებში ჩართვის შემდეგ თამაშიდან ამოვარდა. 5-ჯერ აპირებდა პარტიის პრეზენტაციას და ჯერ ვერ მოახერხა. დაგეგმილი კი ბევრი რამ იყო, გახარია მეორედ უნდა ექციათ გმირად, რის შემდეგაც ის ტრიუმფალურად დაბრუნდებოდა პრემიერის თანამდებობაზე.

– გახარია პრემიერად უნდა დაბრუნებულიყო?

– ამ ეტაპზე ეს იყო რუსი პოლიტტექნოლოგების ამოცანა. პირველად გახარია გმირი გახადეს, როცა მელიას დაპატიმრების წინააღმდეგ სცენა დაიდგა. მეორედ ის უნდა გამხდარიყო კრიზისის მომგვარებელი. გახარიას უნდა დაეცხრო არეულობა.

– არეულობაც იგეგმებოდა?

– მელიას დაკავების გამო ხალხი მასობრივად უნდა გამოსულიყო. დაქირავებულებს გამოიყვანდნენ.

– ხომ გამოვიდა ხალხი?

– გამოვიდა, მაგრამ უნდა გამოეყვანათ 20.000 კაცი. ამას უნდა მოჰყოლოდა ხელოვნური მასშტაბური საპარლამენტო კრიზისი. გახარია პარტიას შექმნის, მაგრამ ის, რაც მასში ინვესტირებული იყო, დამთავრდა.

– წინა წლებში პროგნოზირებდით ძვრებს და რუსეთის განდევნას საქართველოდან. დღეს რა სიტუაციაა? ერთადერთი, რაც იკვეთება, დასავლეთის ინტერესის ზრდაა?

– ინტერესი 2 წლის წინათ იყო. ახლა უკვე მოქმედებებია. დასავლეთი ახდენს სერიოზულ ზეწოლას რუსეთზე საქართველოს გამო. კრემლი ბევრს იკვეხნის, მაგრამ საქართველოზე მისი ბაქიბუქი ცარიელ სიტყვებად რჩება. რუსეთი საქართველოში პოზიციებს დათმობს. ეს მოხდება მშვიდობიანად, აშშ-რუსეთს შორის შეთანხმებით. მოსკოვმა უკრაინაშიც უკან დაიხია. დასავლეთმა არ დაუშვა, რომ რუსეთს მოეხდინა ვადამდელი არჩევნების პროვოცირება ან მიბმა თვითმმართველობის არჩევნებზე. არჩევნები გაიმართება 2022 წელს.

– 2022 წელს ვადამდელი არჩევნები იქნება?

– დიახ. არჩევნები გაიმართება მაშინ, როცა აწყობს აშშ-ს. იმ დროიდან დაიწყება მასშტაბური გადალაგება.

– ახლანდელი ოპოზიციის როლი როგორი იქნება ამაში?

– წინა წლებშიც ვცდილობდი, მათ შორის, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან გამომეფხიზლებინა საზოგადოება და პოლიტიკური სპექტრი. უფლებაც მქონდა, მათ ყურამდე მიმეტანა ის, რა მოხდებოდა. მათ, უმეტეს შემთხვევაში, ყური არ მათხოვეს. ეს ჩვენი პოლიტიკური კლასის დაბალი დონის მაჩვენებელია. ინტელექტუალური განვითარება კიდევ სხვა საკითხია. ქართველი პოლიტიკოსების უმრავლესობას პოლიტიკური რანჟირებაც თავისებურად ესმით. მათ ჰგონიათ, რომ უნდა მოუსმინონ მარტო რუსულ ნარატივს, რუსეთის დავალებებს და ითამაშონ დასავლეთის ყალბი როლი. იგივე მდგომარეობაშია ამ პოლიტიკურ სპექტრზე მომუშავე მედია. ამიტომაა, რომ ისინი ყველანი ჩიხში შევიდნენ და ვექტორს ვერ იცვლიან.

„წითელი ხაზები შეეხება წამებას და არაადამიანურ მოპყრობას“

რას ითვალისწინებს „ქართული ოცნების“ კანონპროექტი

საქართველოს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ანრი ოხანაშვილის განცხადებით, ამნისტია გავრცელდება და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდება ყველა პირი, რომელმაც 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული.

ასევე, ეს შეეხება როგორც დანაშაულის მომზადებას, ისე მცდელობას. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი შეეხება ასევე პირობით მსჯავრს.

ანრი ოხანაშვილმა ასევე განმარტა, ვისზე არ გავრცელდება ამნისტია. მისი თქმით, დათქმა არის ჩადებული, რომ არ შეიძლება ამნისტია გავრცელდეს წამებაზე, წამების მუქარაზე, არაადამიანურ მოპყრობასა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე.

ასევე კანონპროექტი მოიცავს კომპონენტს, რომლის მიხედვითაც, პირს, რომელსაც არ სურს, ისარგებლოს ამნისტიით, სამართლიანი სასამართლოთი სარგებლობის უფლება სრულად ექნება.

– „ქართული ოცნების“ გუნდმა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ შევასრულოთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და დავაინიციროთ ამნისტიის შესახებ კანონპროექტი, რათა შემცირდეს პოლარიზაცია ქართულ პოლიტიკაში და თავიდან იქნეს არიდებული 2019 წლის 20 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობაში შეჭრის მცდელობასა და პოლიციელებზე ძალადობის, აგრეთვე, აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ უფლებამოსილების გადამეტებით რეაგირების საკითხების გადაჭარბებული პოლიტიზება. აქედან გამომდინარე ამ ამნისტიის მიზანი მდგომარეობს იმ შეთანხმებაში, რაზეც ყველამ ვიკისრეთ ვალდებულება და პასუხისმგებლობა.

რაც შეეხება შინაარსობრივ საკითხს, ამნისტია გავრცელდება და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდება ყველა პირი, რომელმაც 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიდინა დანაშაული. ასევე, ეს შეეხება როგორც დანაშაულის მომზადებას, ისე მცდელობას.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საკითხი შეეხება ასევე პირობით მსჯავრს.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ ვისზე შეიძლება არ გავრცელდეს, ამასთან დაკავშირებითაც პოზიციები გვქონდა და ჩვენი პოზიცია მაქსიმალურად დავაახლოვეთ. კონვენციური დათქმა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ არ შეიძლება ამნისტია გავავრცელოთ წამებაზე, წამების მუქარაზე, არაადამიანურ მოპყრობაზე და ასევე, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაზე, ეს პუნქტიც არის ჩადებული ჩვენ მიერ ინიცირებულ კანონპროექტში. ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი – პირს, რომელსაც არ სურს, რომ ისარგებლოს ამნისტიით, მას სრულად ექნება სამართლიანი სასამართლოთი სარგებლობის უფლება, – განაცხადა ოხანაშვილმა.

მისივე განმარტებით, შეთანხმდნენ, რომ უნდა იყოს სამართლიანი მიდგომა და თუკი დანაშაული სავარაუდოდ ჩაიდინა კონკრეტულმა პირმა, ეს იქნება პოლიციელი, მოქალაქე თუ სხვა, რომელიც მონაწილეობდა შეკრებაში, მათ თანაბრად უნდა ეპატიოთ.

– შესაბამისად, თანაბარი და სამართლიანი მიდგომა რომ უნდა იყოს, ეს არის შეთანხმება. ასევე შევთანხმდით იმაზე, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, თუ მოხდა განზრახ, მიზანმიმართულად, ასეთ პირს, როგორც შესაბამის შემსრულებელს, ისე თანამონაწილეს, მაგალითად, ორგანიზატორს, არ უნდა შეეხოს. ამასთან დაკავშირებითაც გვაქვს შეთანხმება, – აღნიშნა მან.

ოხანაშვილმა ასევე განმარტა კანონპროექტთან დაკავშირებით ოპოზიციისა და ხელისუფლების პოზიციებს შორის განსხვავება.

– განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვამბობთ, რომ ამნისტია უნდა შეეხოს კონკრეტულ მოვლენას, ფაქტს და გამოვრიცხოთ ის მუხლები, რასაც არ ვახებთ. რაც შეეხება ოპოზიციური ჯგუფების მოსაზრებას, ისინი ფიქრობენ, რომ ჩავწეროთ კონკრეტული მუხლები, რას ეხება, ასევე ჩავწეროთ, რას არ ეხება.

მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ოპოზიციონერი კოლეგები გვეუბნებიან, საჭიროა დაზარალებულის თანხმობა ყველა კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენი პოზიციაა, რომ ვინაიდან ხელმომწერმა მხარეებმა ვიკისრეთ პასუხისმგებლობა, რომ ეს ფურცელი გადაიშალოს, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ტვირთი და პასუხისმგებლობა უნდა აიღონ პოლიტიკოსებმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვინმეს განზრახ, მიზანმიმართულად დაუზიანდა ჯანმრთელობა.

ეს შემთხვევა არ განიხილება. თუკი ვინმემ ასეთი დანაშაული ჩაიდინა, პასუხისგებაში მიეცემა, თუ ეს დადასტურდება, – აღნიშნა ანრი ოხანაშვილმა.

ამასთან, დაკონკრეტებულია მუხლები, რომელთა მიმართებაშიც არის „წითელი ხაზი“.

– თუ დადასტურდება, რომ კონკრეტულმა პირმა, აღმსრულებელმა თუ ბრძანების გამცემმა ჩაიდინა დანაშაული, რომელიც, მაგალითად, შეეხება 117-ე მუხლს – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, ეს ვერავისზე ვერ გავრცელდება. ჩაიდინა წამების მუქარა, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, ეს შეეხება მუხლს და მუხლი ვერ და არ ამნისტირდება.

ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი ვინმეს დაუდასტურდება იმ მუხლის ჩადენა, ის ბრძანების გამცემია, თუ არა, მას ეს მუხლი არ შეეხება, – დასძინა ანრი ოხანაშვილმა.

პარლამენტის აპარატის უფროსად ქეთევან კვინიკაძე დაინიშნა

საქართველოს პარლამენტის აპარატს ქეთევან კვინიკაძე უხელმძღვანელებს. პარლამენტის პრესსამსახურის ცნობით, აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე, ქეთევან კვინიკაძე პარლამენტის აპარატის უფროსის მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ქეთევან კვინიკაძეს აქვს საჯარო სამსახურში მენეჯერული საქმიანობის და არასამთავრობო სექტორში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება.

მუშაობდა აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში.

პოლიციამ ფონიჭალაში 3 ნარკორეალიზატორი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დაჯგუფების წევრები: 1995 წელს დაბადებული ა. ა., 1980 წელს დაბადებული ნ. გ. და 1976 წელს დაბადებული ნ. კ. დააკავეს. მათ ბრალად ედებათ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა და გასაღება.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადოდ თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ა.ა.-მ, ნ.გ.-მ და ნ.კ.-მ წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გადაინაწილეს როლები და ნარკოტიკულ საშუალებებს სისტემატურად ასაღებდნენ.

გეგმის მიხედვით, ა.ა. ნარკოტიკული საშუალებების შემძენ პირებთან კომუნიკაციას ამყარებდა, ხოლო ერთი ოჯახის ორი წევრი – ნ. გ. და ნ. კ. დათქმულ ადგილზე მყიდველისთვის ნარკოტიკული საშუალების მიწოდებას და ფულის მიღებას უზრუნველყოფდნენ. მათ დანაშაულებრივ საქმიანობაში ასევე ჩართული ჰყავდათ მცირეწლოვანი ბავშვი.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით მოხდა საქმეში სოციალური სამსახურისა და ყველა სხვა შესაბამისი უწყების ჩართვა.

სამართალდამცველებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ბრალდებულებისგან ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით მიმდინარეობს.

ივერი მელაშვილის საქმეზე ლევან ჯღარკავა დაიკითხა

გუშინ, 27 აპრილს, საქალაქო სასამართლოში გაიმართა მორიგი სხდომა კარტოგრაფების საქმეზე, სადაც ბრალდების მხარის მოწმე, კომისიის ყოფილი წევრი ლევან ჯღარკავა გამოიკითხა.

დაცვის მხარე და ბრალდებულები ამბობენ, რომ მოწმის ჩვენება კარტოგრაფების ბრალეულობას არ ადასტურებს, რადგან ჯღარკავას მუშაობის პერიოდში, კომისიის სხდომა არც კი ჩატარებულა.

– ჯღარკავა, რომელიც დღეს თბილისის მუნიციპალური ფონდის ხელმძღვანელია, 2006-08 წლებში იყო კომისიის წევრი. მას მხოლოდ დელეგაციების შემადგენლობაში აქვს რუსეთში ვიზიტი განხორციელებული, სადაც ფსოუს მონაკვეთთან დაკავშირებით ჰქონდა ქართულ მხარეს ძალიან პრინციპული პოზიცია და ამ პოზიციას იცავდა ბატონი ივერიც. სხვა მხრივ ის ვერ იხსენებს აქტიურ მონაწილეობას კომისიის მუშაობაში, თუმცა ადასტურებს, რომ კომისიაში იყო სამუშაო გარემო და კომისიაში ერთპიროვნულად არც ერთი გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული, – განაცხადა ივერი მელაშვილის ადვოკატმა გიორგი მშვენიერაძემ.

კომენტარი **ივერი მელაშვილმაც** გააკეთა.

– დღეს გამოკითხული მოწმე აზერბაიჯანთან საზღვრის მონაკვეთთან დაკავშირებით არაფერ შუაში არაა, ამ საკითხზე სხდომა არც კი ჩატარებულა იმ პერიოდში, როდესაც ის იყო კომისიის წევრი, – განაცხადა მან.

ბრალდების მხარე ამბობს, რომ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ჯღარკავას ჩვენება მნიშვნელოვანია და მას სხდომებზე მიზანმიმართულად არ ასწრებდნენ.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკა მკაცრდება

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კიბერდანაშაულის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრების შესახებ შსს-ს მიერ ინიცირებული კანონპროექტი №-3 მოსმენით წარადგინა. კანონპროექტს დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიღების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას, რაც ხელს შეუწყობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ცვლილების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს ემატება ორი ახალი მუხლი.

286-ე პრიმა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის შემთხვევაში. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე სხვა კიბერდანაშაულებისათვის.

ასევე, სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 2862 მუხლი, რაც ყალბი კომპიუტერული მონაცემის შექმნისთვის ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ინიცირებული კანონპროექტით მნიშვნელოვანი ცვლილებები ხორციელდება სისხლის სამართლის კოდექსის კიბერდანაშაულის თავში. მათ შორის, ცალკე დამამძიმებელ გარემოებად გამოიყო კიბერდანაშაულის ჩადენა კრიტიკული ინფრასტრუქტურის მიმართ.

კიბერდანაშაული 21-ე საუკუნის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაზრდილი სტატისტიკა. დამნაშავეთა მხრიდან მუდმივად იხვეწება დანაშაულის ჩადენის ხერხები და მეთოდები, რაც სახელმწიფოს მხრიდან იმგვარი ნორმების ჩამოყალიბებას მოითხოვს, რომელიც, ერთი მხრივ, უპასუხებს კიბერდანაშაულის თანამედროვე ტენდენციებსა და გამოწვევებს, ასევე სრულ შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ახმეტაში ირაკლი ქარსელაძის დაჭრისთვის 31 წლის ზ.ც. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახმეტის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ზ.ც. დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ახმეტაში, ურთიერთშელაპარაკებისას, 1983 წელს დაბადებული ი.ქ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ზ.ც. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ახმეტაში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლით და 236-ე მუხლით მიმდინარეობს.

კრიმინალური გარჩევა 26 აპრილს, 7 საათზე მოხდა.

ადგილობრივები ტვ პირველთან ყვებიან, რომ დაკავებული მამაკაცი კაფე „საძმოში“ ადგილობრივ სამართალდამცავებთან და კრიმინალური წარსულის მქონე პირებთან ერთად ქეიფობდა.

კაფეს დატოვების შემდეგ მათ შელაპარაკება მოუვიდათ ირაკლი ქინქლაძესთან.

დაკავებულმა მამაკაცმა 6-ჯერ გაისროლა და მამაკაცი ბარძაყის არეში დაჭრა.

შემთხვევის დროს ადგილზე იმყოფებოდა ქინქლაძის ორსული მეუღლე.

„ერთი გოგო ყელში დაუჭრია, მეორე უცემია“

ლესბოსელ წყვილს სახლის მეპატრონე თავს დაესხა

სუბელიანი წერს, რომ შემთხვევა 23 აპრილს ღამით მოხდა და თავდასხმის შედეგად ერთი ქალი მძიმედ არის ნაცემი, მეორე კი ყელის არეშია დაჭრილი.

„კიდევ ერთ ლესბოსელ წყვილს დაესხა თავს უკვე სახლის მეპატრონე. ერთი გოგო გონების დაკარგვამდე უცემია, მეორე ყელში დაუჭრია.

გაგიჟებული ვარ ხალხო, რამე გავაკეთოთ! ადვოკატიც კი ვერ იშოვეს ღამე, ან საშვი არ აქვთ, ან სძინავთ. რა გახდა ერთი ღამის მორიგე ადვოკატის გამოყოფა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის? პოლიციაში როგორ უგულოდ ექცევიან მსხვერპლებს, ეგეც ვიცით და კიდევ ერთხელ ვნახეთ და არიან სრულიად უპატრონოდ მიტოვებულები.

აღარ შემიძლია მართლა, ქალებს გამოუცხადეს თან განსაკუთრებული ომი და ზუსტადაც, სახლში უვარდებიან. წინა დღეს რომ გირაოთი გამოუშვეს ლესბოსელ წყვილზე თავდამსხმელი, მაგიტომ მოხდა ეს ამბავი და ამაზე გავიგე, მხოლოდ შემაკავებელით უპირებენ გაშვებასო და ასე თუ გააგრძელა შსს-მ, ხვალ კიდევ უფრო მეტი მსხვერპლი გვეყოლება“ – წერს სუბელიანი.

ლესბოსელ წყვილზე მორიგი თავდასხმის შესახებ ინფორმაციას სამოქალაქო აქტივისტი ანა სუბელიანი ავრცელებს.

კომენდანტის საათის დარღვევის გამო თბილისში მამაკაცი დააკავეს

25 აპრილს თბილისში, ლეხ კაჩინსკის ქუჩაზე კომენდანტის საათის დარღვევის გამო სამართალდამცავებმა მამაკაცი დააკავეს.

ავტომობილს, რომლითაც დაკავებული გადაადგილდებოდა, საბურავი დაეშვა, რის გამოც იძულებული გახდა გაჩერებულიყო. ამ დროისთვის კომენდანტის საათი დაწყებული იყო.

ადგილზე საპატრულო ეკიპაჟი მივიდა. სავარაუდოდ, საჭესთან მჯდომი მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგან აცხადებდა, რომ ტაქსის გამოძახება ვერ შეძლო და ამის გამო მოუწია კუთვნილი ავტომობილით გადაადგილება.

ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას, შედეგად საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა მამაკაცი დააკავეს.

სენაკთან 2 მანქანა დაეჯახა ერთმანეთს

6 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 17 აპრილს, სენაკში, სოფელ თეკლათთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა, მათ შორის, ორი წლის ბავშვი.

ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომანქანა შეეჯახა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ერთ-ერთ მანქანაში მსხდომი ერთი ოჯახის სამი წევრი სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანებებით კლინიკა „სენამედში“ გადაიყვანა, ხოლო კიდევ სამი დაშავებული, რომლებსაც გულმკერდისა და კისრის მრავლობითი ტრავმები აღენიშნებოდათ, კლინიკა „არქიმედეში“ მოათავსეს.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

ყვარელთან მანქანა ქვეითს დაეჯახა და მდინარეში გადავარდა

ყვარლის გზაზე მომხდარი ავარიის დროს მანქანა მდინარეში გადავარდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, სწრაფად მოძრავი მსუბუქი ავტომანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, ბეტონის ჯებირს დაეჯახა და რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან გადავარდა.

შედეგად, მსუბუქად დაშავდა მძღოლი და ასევე ქვეითი, რომელსაც მანქანა მდინარეში გადავარდნამდე დაეჯახა.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ყაზბეგში არადეკლარირებული საქონელი გამოავლინეს

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“, ეჭვის საფუძველზე, რუსეთის ფედერაციის მოქალაქის, შ.ბ.-ს მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტოტრანსპორტისა და მოქალაქის კუთვნილი ბარგის დეტალური დათვალიერების შედეგად, სხვადასხვა დასახელების არადეკლარირებული საქონელი გამოვლინდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ცნობით, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 5308.08 ლარი შეადგინა.

„საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 5308.08 ლარი შეეფარდა“ – აღნიშნულია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თბილისსა და მის შემოგარენში 2 დღეში 6 პირი დაჯარიმდა

შრომის ინსპექცია დაწესებული შეზღუდვების აღსრულებაზე მონიტორინგს აგრძელებს. უწყებამ, საპატრულო და კრიმინალურ პოლიციასთან ერთად, თბილისსა და მის შემოგარენში ფართომასშტაბიანი გასართობი და სოციალური ღონისძიებებისთვის 5 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი დააჯარიმა.

ინსპექციის ინფორმაციით, დაჯარიმებულთაგან 3 ფიზიკურ პირს სანქცია სოციალური ღონისძიებების ორგანიზების მიზნით, ფართის იჯარით გადაცემის საფუძველზე დაეკისრა, ერთი ფიზიკური პირის კუთვნილი ფართი კი, დაიღუქა.

ჯარიმის ოდენობა ფიზიკური პირისთვის 2.000, ხოლო იურიდიული პირისთვის – 10.000 ლარს ითვალისწინებს.

23-25 აპრილს შრომის ინსპექციამ, საპატრულო და კრიმინალურ პოლიციასთან ერთად, ზედამხედველობა სულ 194 ობიექტზე განახორციელა.

უკრაინამ რუსეთის კონსული პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა



უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოდესაში მდებარე რუსეთის გენერალური საკონსულოს კონსული პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა, – შესაბამისი ინფორმაცია უკრაინის საგარეო უწყების ვებგვერდზეა განთავსებული.

დიპლომატმა უკრაინის ტერიტორია 30 აპრილის დღის ბოლომდე უნდა დატოვოს.

უწყებამ აღნიშნული გადაწყვეტილება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ქმედების პასუხად მიიღო, რომელმაც უკრაინელი დიპლომატი 26 აპრილს პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადა.

„ამ ნაბიჯს რუსეთის ფედერაციის მიერ დაწყებული ანტიუკრაინული კამპანიის გაგრძელებად და უკრაინის დიპლომატიური მისიების თანამშრომლების წინააღმდეგ არამეგობრული ქმედებების მორიგ გამოვლინებად მივიჩნევთ“ – აღნიშნულია უკრაინის საგარეო უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ყარაბაღში რუსი სამშვიდობოების მანქანა აფეთქდა

ყარაბაღში ნაღმზე რუსი სამშვიდობოების ავტომობილი აფეთქდა.

ავტომობილი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა, რის შედეგადაც ორი რუსი სამხედრო დაიჭრა.

დაჭრილების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ესპანეთის სანაპიროზე 17 მიგრანტის ცხედარი იპოვეს



ესპანეთის სანაპირო დაცვამ კანარის კუნძულების სანაპიროსთან ნავში 17 გარდაცვლილი მიგრანტი იპოვა.

3 გადარჩენილი, 2 მამაკაცი და 1 ქალი, სამხედრო ვერტმფრენით ტენერიფეს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც ესპანეთის საზღვაო სამაშველო სამსახურის პრესსპიკერმა განაცხადა, ნავში მყოფი მიგრანტები სუბსაჰარული აფრიკიდან იყვნენ.

აფრიკიდან კანარის კუნძულებზე ჩამსვლელი მიგრანტების რიცხვი ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე კანარის კუნძულებზე 3.400 ადამიანი ჩავიდა.

ინდოეთში საერთაშორისო დახმარების პირველი პარტია ჩაიტანეს

ინდოეთში საერთაშორისო სამედიცინო დახმარების პირველი პარტია ჩაიტანეს.

ხელოვნური სუნთქვის აპარატები და ჟანგბადის კონცენტრატორი ნიუ-დელის საერთაშორისო აეროპორტში გაერთიანებული სამეფოდან ჩავიდა.

ინდოეთს დახმარებას სხვა ქვეყნებიც დაჰპირდნენ, მათ შორის შეერთებული შტატები, გერმანია, საფრანგეთი და პაკისტანი.

– გერმანიის მთავრობა სხვა ქვეყნებთან ერთად იმუშავებს იმისთვის, რომ ინდოეთისთვის დახმარების გაწევა უზრუნველვყოთ. გვსურს, გავაკეთოთ ყველაფერი, რითიც შეგვიძლია, ინდოეთს დავეხმაროთ, – აღნიშნა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ტედროს ადანამ გებრეისუსის თქმით, ინდოეთში არსებული მდგომარეობა „გულსატკენზე მეტია“.

ინდოეთში რამდენიმე დღეა ყოველდღე კორონავირუსის 300.000-ზე მეტი შემთხვევა ფიქსირდება. ქვეყნის საავადმყოფოებში ჟანგბადისა და თავისუფალი საწოლების დეფიციტია.

კორონავირუსის „ინდური ვარიანტების“ თავიანთ ქვეყნებში გავრცელების პრევენციის მიზნით, ინდოეთთან მიმოსვლა შეზღუდეს გერმანიამ, გაერთიანებულმა სამეფომ, კანადამ, ირანმა, ქუვეითმა, ტაილანდმა, სინგაპურმა, ბანგლადეშმა და ავსტრალიამ.

პენსიონერი პოლიციელს თავს ხმლით დაესხა და კინაღამ თითი მოაჭრა

ლონდონში განაჩენი გამოუტანეს პენსიონერს, რომელიც პოლიციელს თავს დაესხა და კინაღამ ხმლით თითი მოაჭრა.

აღნიშნული ინციდენტი 2020 წლის 30 ნოემბერს იმ დროს მოხდა, როდესაც პოლიციელები 62 წლის ენტონი ბრაუნს ეწვივნენ, მისი აგრესიული ქცევის გამო შესული საჩივრის საფუძველზე. მოულოდნელად პენსიონერმა ზურგის მხრიდან ხმალი დააძრო და მათ თავს დაესხა.

შედეგად ერთ-ერთმა სამართალდამცავმა ხელის მტევნის ძვლების მოტეხილობა მიიღო. გარდა ამისა, ხმალმა მას ნაწილობრივ მოაჭრა თითის ნაწილი. ბრაუნი დააპატიმრეს და თავდასხმის და განზრახ სხეულის მძიმე დაზიანების მიყენების ბრალდება წაუყენეს. ახლახან მას სასამართლომ შვიდი წლით და ოთხი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

საპორტო

ოლიმპი და ქუთაისი საქართველოს თასის ფინალში ითამაშებენ

ჩესთავი-ოლიმპი 78:91

(24:27, 20:21, 16:16, 18:27)

დავით როგავას გაწვრთნილი ოლიმპი შესანიშნავ ფორმაშია და, რაც მთავარია, საბრძოლოდაა მომართული. ნახევარფინალურ შეხვედრაში ოლიმპმა სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის პირველადგილოსან რუსთავთან ბრძოლის მაგალითი აჩვენა. თუმცა ოლიმპელებს მხოლოდ თავდადებით არ მოუგიათ. გამართული ტაქტიკისა და დაგეგმილის ზედმიწევნით შესრულებით ოლიმპმა მოახერხა მიმდინარე სეზონში ყველაზე ნაკლები წაგების მქონე რუსთავის დამარცხება. მოკლედ რომ ვთქვათ, ოლიმპმა სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა და პრინციპულ მატჩში ფავორიტად შერაცხული მეტოქე დაამარცხა.

რთულია ერთ კონკრეტულ მოთამაშეს მიაწერო გამარჯვება, როცა მთლიანად გუნდმა ჩინებულად ითამაშა. ოლიმპელებს კაპიტანმა კახა ჯინჭარაძემ ულიდერა, რომელიც ჩვეული უნივერსალიზმით მთელი თამაშის განმავლობაში მიუძღვებოდა თავისიანებს და როგორც შორი სროლებით, ისე სწრაფი გარღვევებით უტევდა რუსთაველთა კალათს. ამასთან, ჩინებული იყო დაცვაში და თავისი სტაბილურობით გუნდს უდიდეს დახმარებას უწევდა. ასევე იყვნენ მისი თანაგუნდელებიც, რომლებმაც მაქსიმუმი გაიღეს გამარჯვებისთვის, თუმცა გამოსარჩევია დონოვან სმიტის შედეგიანობა, რომელმაც ოლიმპს გამარჯვება გაუნაღდა.

ყველაფერზე ციფრები მეტყველებს: სმიტმა ბოლო პერიოდის საწყის 5 წუთში 14 ქულა ჩააგდო: 4 სამქულიანი და ერთიც ორიანი. სანამ პირველ ბურთს ჩააგდებდა, ბოლო პერიოდის პირველ წუთზე, ოლიმპი 4 ქულას იგებდა, ხოლო როცა მან თავისი მე-14 ქულა ჩააგდო, ოლიმპელები 19 ქულით გალიდერდნენ, შეხვედრის დასრულებამდე კი, 4 წუთი რჩებოდა. ერთი სიტყვით, სმიტმა, რომელიც ნომინალური ცენტრია, პერიმეტრზე აიწია და ყველა 3-ქულიანი ჩააგდო, რითაც რუსთაველები წასაგებად გაწირა. ქვემოქართლელთა მწვრთნელი ანატოლი ბოისა ბევრს ეცადა, წუთშესვენებებიც აიღო და თავის გუნდელებს ტაქტიკური დავალებებიც მისცა, მაგრამ ბოლო პერიოდში მის გუნდს საფრთხე იქიდან დაემუქრა, საიდანაც ყველაზე ნაკლებად ელოდა.

არადა, ბოლო პერიოდამდე მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და გარდამტეხი სწორედ სმიტის 5-წუთიანი „სიგიჟე“ გახდა. გაგიკვირდებათ და, მთლიანი მონაგარიც სწორედ ამ მონაკვეთში მოგროვებული 14 ქულაა, რასაც სმიტმა 5 მოხსნა და 1 დაფარება მოაყოლა. საუკეთესო შედეგიანობა კი ჯინჭარა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ბიზნესმენმა აუქციონზე შეძენილ მანქანაში ჰეროინი აღმოაჩინა

ინგლისის ბერკშირის საგრაფოს ქალაქ ტეტჩემის მკვიდრმა აუქციონზე ნახმარი ავტომობილი შეიძინა და მასში ცხრა შეკვრა ჰეროინი აღმოაჩინა.

29 წლის ბიზნესმენმა რიჩარდ ლუკაჩმა აუქციონზე ჰეჩბეკი სეატ იბიზა 500 ფუნტ სტერლინგად შეიძინა. მანქანის დათვალიერების დროს მის საბარგულში, სათადარიგო საბურავისთვის განკუთვნილ განყოფილებაში, ნარკოტიკებით სავსე შეკვრა აღმოაჩინა.

– ჩემ გვერდით იმყოფებოდა ჩემი ორი წლის გოგონა, ასე რომ, მისი ყურადღების გაფანტვა მომიხდა, – ყვება ბრიტანელი, – პოლიციაში დავრეკე, მაგრამ მათ მოსვლაზე უარი განაცხადეს. შედეგად განყოფილებამდე რამდენიმე კილომეტრის გავლა მომიხდა საბარგულში ა კლასის ნარკოტიკებით და გაოგნებული დავრჩი.

აუქციონის ორგანიზატორები, სადაც ლუკაჩმა ავტომობილი შეიძინა, ამტკიცებენ, რომ გაყიდვამდე მანქანა საგულდაგულოდ შეამოწმეს. პოლიციამ საქმის გამოძიება დაიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სულიკო ჟღენტის კინოს სახლს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ჩოხატაურის სულიკო ჟღენტის კინოს სახლს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ინფორმაცია მისმა შვილმა ოლგა ჟღენტმა გაავრცელა:

– განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ნესტან თათარაშვილს – საქართველოს ევროპული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირის ხელმძღვანელს, დიდი მადლობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, პირადად ბატონ ზაალ მამალაძეს, ბატონ გიორგი კეკელიძეს. ვულოცავ ჩემს საყვარელ ჩოხატაურს და ჩოხატაურელებს! იმედია შენობა-ძეგლის რეაბილიტაციის ეტაპი მალე დაიწყება და კინოს სახლიც ახალ სიცოცხლეს შეიძენს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კახი კავსაძე გარდაიცვალა

მთელი გულით თანავუგრძნობ მისი უსაყვარლესი ოჯახის ყველა წევრს, მის ყველა მეგობარს, კოლეგას და მთელ საქართველოს...

❖ ❖ ❖

თუ მეკითხებიან, რას უნდა აკეთებდეს თეატრიო, პირველ რიგში, ყოველთვის ეს ამბავი მახსენდება:

„1989 წლის 9 აპრილის მოვლენების დროს, რუსთაველის თეატრი გასტროლებზე იყო ბულგარეთში. მე იმ სპექტაკლში არ ვმონაწილეობდი და ამიტომ თბილისში დავრჩი. იმ დროს თეატრის პარტკომი გახლდით და ამიტომ ყველაზე მაღალი ადმინისტრაციული პოსტი მე მეკავა. დაიწყო და აგორდა მიტინგების ტალღა, მთელი დღე ქუჩაში ვდგევარ, თვალყურს ვადევნებ მოვლენების განვითარებას და ძალიან ვღელავ.

როდესაც სიტუაცია ღამით ძალიან დაიძაბა, დაიწყო დარბევა. ვხედავ, ხალხი მორბის თეატრისკენ, მაშინვე ჭიშკარი გავაღებინე და ხალხის ეს უზარმაზარი ტალღა თეატრში შემოვუშვი. ზოგს თავი ჰქონდა გაჩეხილი, ზოგს ხელი ჰქონდა ნაღრძობი, მაგრამ საინტერესო ის არის, რომ უმრავლესობა უფეხსაცმლოდ მორბოდა, ტანსაცმელშემოხეული; შემდეგ ავიყვანე მცირე დარბაზში და ვუთხარი, რომ არავინ ქვემოთ აღარ ჩასულიყო, ყველანი ზემოთ ყოფილიყვნენ.

წამოვიდა ჯარი ერთ კედლად ჩაფხუტებით და ფარებით, სახე არ ჩანს, მე ვდგევარ ქუჩაში და ვუყურებ – მოდიან, მოვიდნენ ჭიშკართან, გაჩერდნენ და დავინახე პატარა, რუსი ბიჭები შეშინებული თვალებით, ა, ესე შეშინებული თვალებით იყურებოდნენ და ამ დროს გაიცა ბრძანება – „ზაკრიც ვაროტა“, ჩვენც დავკეტეთ ჭიშკარი და მსახიობები, აი, აქ, თეატრის ეზოში შევიკუჭეთ. შემდეგ გვესროლეს ცრემლსადენი ყუმბარა ერთი, რომ დავშლილიყავით, შემდეგ მეორე გვესროლეს. ცოტა ხანში მოვიდნენ და გვითხრეს, რომ თქვენ აქ ხალხს მალავთო, ჩვენ ვაჩვენეთ დიდი სცენა, – კი, ბატონო, მობრძანდით, ნახეთ, არადა ხალხი ჩვენ ზემოთ მცირე სცენაზე გვყავდა დამალული.

როდესაც გათენდა, გავაღეთ გარდირობი, დავურიგეთ ხალხს ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და გავუშვით სახლებში. მე ვფიქრობ, რომ ეს დღე იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ ის დიდი „მახინა“, ის უზარმაზარი იმპერია, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა – დაიმსხვრა... – კახი კავსაძე.

გიორგი კეკელიძე, მწერალი:

– ერთხელ შუქი მოვიდა და რა გასაკვირია, რომ ტელევიზორს მივვარდით, იქ კაცი გამოჩნდა, აწოწილი, უცნაურად ჩაცმული და უცნაურსავე ცხენზე მჯდარი. დედაჩემმა თქვა, ამ კაცმა როლისთვის 25 კილო დაიკლოო. 25 კილო დაკლებულმა კაცმა შუბი აღმართა, გამოგვხედა და შუქიც წავიდა. მაშინ არც დონ კიხოტისა ვიცოდი რამე და არც კახი კავსაძის – მერე ბევრი შევიტყვე, მაგრამ გონებას გინდ დიდებული წიგნის დიდებული პერსონაჟის, გინდ საოცარი მსახიობის გახსენებაზე, პირველად ეს ფრაგმენტი ეხატება ხოლმე. ეს მოულოდნელი, ზამთრის ბნელ ღამეში გაელვებული კადრი.

ადრეც დავწერე: ბოლო წლებია, სამსახურისკენ მიმავალი, რუსთაველის თეატრის წინ, სკამზე მჯდარ კახი კავსაძეს ვხვდებოდი ხოლმე. სევდიანი და ჯიუტი მზერით უცქერდა შენობას. თუ ოდნავ დააკვირდებოდი, იოლი შესამჩნევი იყო ის დაუოკებელი ვნება და დაუცხრომელი სურვილი, რაზეც მისი კოლეგები და რეჟისორები მიყვებოდნენ – თუ როგორ გარდაიქმნებოდა ეს ღრმად მოხუცი და ათას დაავადებასთან მებრძოლი კაცი კამერის ჩართვისთანავე ახალგაზრდული შემართების მსახიობად. არათუ მინახავს, იშვიათად მსმენია, საკუთარი საქმე ასეთი გაშმაგებით ყვარებოდა ვინმეს. ყვარებოდა რატომ – უყვარდეს, უბრალოდ ახლა უკვე სხვაგან, სხვაგან, სადაც კახი მტკიცედ და ძველებური ღიმილით ამბობს: „დიახ, აქ თეატრი არის!“

გოჩა კაპანაძე, რეჟისორი:

– „შენ თუ სხვისი სიკეთე გიხარია, შენ ხარ ჯანმრთელი და გამარჯვებული... მხოლოდ და მხოლოდ სიყვარული გააძლებინებს საქართველოს...“ – კახი კავსაძე

ძალიან მიჭირს სიტყვებს თავი მოვუყარო და გადმოვცე ის დიდი ტკივილი, რასაც ახლა ვგრძნობ. ეპოქა დასრულდა! წავიდა ამ ქვეყნიდან ქართული თეატრის დონ კიხოტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ქართული კინოსა და თეატრის ლეგენდა და თითოეული ჩვენგანის უსაყვარლესი ადამიანი და მსახიობი ბატონი კახი კავსაძე. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მხვდა წილად მასთან ურთიერთობის ბედნიერება. ბატონი კახი ყოველთვის იყო ჩემთვის სიკეთის, ადამიანებთან ურთიერთობის, კოლეგიალობის, მეგობრობის და სიყვარულის სიმბოლო. ის ამით ცხოვრობდა და ყველას ამას უქადაგებდა გარშემო. მის პროფესიონალიზმზე ახალს ვერაფერს ვიტყვი, ეს ყველამ კარგად ვიცით, მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ უბედნიერესი ვარ, რომ მარგუნა ღმერთმა მასთან შემოქმედებითი ურთიერთობის და მეგობრობის ბედნიერება.

მთელი გულით ვუსამძიმრებ მისი ოჯახის თითოეულ წევრს, ჩემს ირაკლის და ნანუკას, ბატონი კახის შვილიშვილებს, ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს და სრულიად საქართველოს ამ დიდ დანაკლისს.

ბატონო კახი, ახლა უკვე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ „იქ, თეატრი არის!“

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მძიმე ტური — გამოკვეთილი ფავორიტი მხოლოდ თბილისის დინამოა

დღეს და ხვალ საქართველოს ეროვნული ლიგის მე-11 ტურის მატჩები გიმართება. ძალიან საინტერესო ტურია, სადაც, შესაძლოა, მოვლენები არცთუ ლოგიკურად განვითარდეს.

28 აპრილი

16:30 თელავი-ლოკომოტივი

თელავი. კავკასიონი არენა

ტური თელავში გაიხსნება, სადაც ბოლო დროს არეული გუნდი თბილისის ლოკომოტივს დაუხვდება, რომელსაც ასევე დაულაგებელი სიტუაცია აქვს.

მასპინძელთა გუნდში არასახარბიელო შედეგების გამო გადადგა რევაზ გოცირიძე, რომლის ნაცვლად რევაზ აბულაძე დაინიშნა, რომელიც მანამდე სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა.

გუნდი, რომელიც, გასულ, სადებიუტო სეზონში სიმპათიურად გამოიყურებოდა, წელს ელიტაში დასარჩენად იბრძვის და თამაშითაც ვერ ხიბლავს სპეციალისტებს.

ასევე, გასული სეზონიდან გამომდინარე, მეტს ველოდით ლოკომოტივისგანაც. გუნდი არასტაბილურად გამოიყურება, მხოლოდ ერთეულ შეხვედრებში რაღაც დაგვანახა. მთლიანობაში კი გასული სეზონის ლანდია.

მოკლედ, საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს, სადაც ფავორიტი მაინც ლოკომოტივია.

18:30 დილა-სამტრედია

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

ფავორიტები მასპინძლები არიან. ერთი შეხედვით ანდრეი დემჩენკოს გაწვრთნილი დილა სხვებისგან განსხვავებულ და სწორ ფეხბურთს თამაშობს. თუმცა, ჩავარდნებიც აქვს და რამდენიმე კარგი შანსი ვერ გამოიყენა.

თავის მხრივ სამტრედიას ეტყობა გია ცეცაძის ხელი, რომელიც საქართველოს მასშტაბებით ურიგო მწვრთნელი ნამდვილად არ არის. ეს ბოლო მატჩებშიც გამოჩნდა – სამტრედია უმატებს. თუმცა, ეს დროებითია თუ მზარდი, მალე გამოჩნდება.

29 აპრილი

14:00 საბუთათალო-სამგურალი

თბილისი. მიხეილ მესხი

საბურთალო ჩვეულ სტილშია – რაღაცებს იგებს, ცოტას აგებ, სულ ლიდერებთან სიახლოვეს ტრიალებს და რაღაც შანსს თითქმის ბოლომდე იტოვებს. ასეა ახლა, იქვეა, მაგრამ ქულების განიავებაც უყვარს.

შემართებით არის სამგურალი, რომელმაც ზედიზედ 2 გამარჯვება მოიპოვა და აქედან, ბოლო ტურში ხმაურიანი – ლიდერი, თბილისის დინამო (2:0) დაამარცხა.

ახლა წყალტუბოში საფეხბურთო ბუმია, გუნდიც სწორად ვითარდება. ის ბოლო 2 გამარჯვებაც გუნდში სოსო ფრუიძის მისვლას მოჰყვა. ვინძლო, მასთან ერთად ამ პატარა ქალაქის გუნდმა ის პატარა გზა გააიაროს, როგორიც საჩხერის ჩიხურაში მუშაობის დროს.

16:00 შუქურა-დინამო (ბთ)

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

აჭარული დერბი, რომელიც პირველ წრეში 1:1 დასრულდა. არადა, ბათუმელები მაშინ ფავორიტებად ითვლებოდნენ და ვერ მოიგეს. თუმცა, ასეთი ჩავარდნები გია გეგუჭაძის გუნდს ახასიათებს და ამიტომაც არიან შემომწყრალნი გულშემატკივრები. თუმცა, ხელმძღვანელობა ნდობას უცხადებს.

თავის მხრივ არც შუქურაა ხელწამოსაკრავი გუნდი. საკმაოდ კარგი თამაშები აჩვენა და ცხრილის შუაგულშიც დამსახურებულად არის, მაგრამ არც წინ გაწევაზე იტყვის უარს და ამის პოტენციალი აქვს.

18:00 დინამო (თბ)-ტოხპელო

თბილისი. დინამოს არენა

და ქართული დერბი, რომლის მიმართ ბოლო დროს ინტერესმა იკლო. ეს უფრო პანდემიისა და ქუთაისური გუნდის ჩავარდნის ბრალიც არის. რიონისპირელები გაჭირვებით ინახავენ თავს და მშველელი არავინაა. ახლაც აგერ, ახალი მწვრთნელის მოლოდინშია, სადაც კახა ჩხეტიანს მოიაზრებენ.

დინამო გაცილებით სოლიდურია, ჩემპიონატსაც ლიდერობს და იოლ 3 ქულას გეგმავს. იმის მიუხედავადაც, რომ გუნდში კოვიდ-პანდემიის რამდენიმე ფაქტი დაფიქსირდა და გადახალისებული შემადგენლობით უწევს თამაში.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	10	7	1	2	18-9	22
2.დინამო (ბთ)	10	5	4	1	12-6	19
3.დილა	10	5	3	2	12-7	18
4.საბურთალო	10	4	5	1	13-9	17
5.ლოკომოტივი	10	4	2	4	16-17	14
6.შუქურა	10	3	4	3	10-9	13
7.სამგურალი	10	3	3	4	9-11	12
8.სამტრედია	10	2	1	7	9-16	7
9.ტორპედო	10	0	6	4	6-12	6
10.თელავი	10	1	3	6	7-16	6

ოლიმპი და ქუთაისი საქართველოს თასის ფინალში ითამაშებენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ძემ გამოავლინა: 20 ქულა, 10 პასი, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 დაფარება. რუსთაველთაგან სამმაგი დუბლი მოაგროვა მაიკლ დევისმა: 16 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი.

ქუთაისი-ცხუმ აფხაზეთი

78:62

(23:18, 17:10, 18:16, 20:18)

მეორე ნახევარფინალურ მატჩში კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისმა ცხუმ-აფხაზეთს დამაჯერებლად სძლია და ფინალში ოლიმპს შეუერთდა. იმერულ კლუბში ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ პირველად ითამაშა სამმა ლეგიონერმა. ტრავმების გამო ქუთაისელებს ხან 2 უცხოელი აკლდათ და ხანაც – 3. დღევანდელ მატჩში მხოლოდ კაჰიმ რენსომმა არ ითამაშა, მაგრამ მოედანზე გასვლა დეჟუან რაითმა, ჯოელ ალმეიდამ და ლუკ მეიერმა შეძლეს. სწორედ მათი შედეგიანობით არ გასჭირვებიათ ქუთაისელებს ამ შეხვედრაში გამარჯვება.

მეტ-ნაკლები ბრძოლა იყო პირველ პერიოდში, სანამ ქუთაისელები ხელჩასაჭიდ უპირატესობას მოიპოვებდნენ. მეორე პერიოდი იმერულმა კლუბმა 17:10 მოიგო და დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი ლიდერობით გავიდა. ზემოთ ლეგიონერები ვახსენეთ და ერთმა, ჯოელ ალმეიდამ 5 სამიანი ჩააგდო, ხოლო ლუკ მოიერმაც ამდენივე შორი სროლა მიითვალა. უპირატესობის შენარჩუნება ქუთაისელებს არ გასჭირვებიათ და შეხვედრა ისე დასრულდა, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

ქუთაისელებს 28 ქულით ალმეიდამ ულიდერა. 18 ქულა და 8 მოხსნა აკაკი დვალიშვილის ანგარიშზეა, რომელმაც საკმაოდ აგრესიულად ითამაშა ოპონენტი ცენტრის, მასზე ბევრად მაღალი რაჰიმ ჯონსონის წინააღმდეგ. ჯონსონმა შეხვედრა 4 ქულითა და 4 მოხსნით დაასრულა, დამარცხებულთაგან კი, საუკეთესო ალექსანდრე ფევაძე იყო 15 ქულითა და 8 მოხსნით.

შედეგად, საქართველოს თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს ქუთაისი და ოლიმპი შეხვდებიან. ოლიმპს საქართველოს თასი არასდროს მოუგია, ხოლო ქუთაისელებისთვის ეს ტიტული კარგადაა ნაცნობი. იმერულ კლუბს თასის გათამაშება 2014, 2017 და 2018 წლებში მოუგია და ტიტულის დასაკუთრებას მეოთხედ ეცდება.

ფლიკი ნაკრებში, ნაგელსმანი — ბაიერნში

მომავალი სეზონიდან მიუნხენის ბაიერნს იულიან ნაგელსმანი გაწვრთნის – გერმანული მედიის ცნობით, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია.

ჰანსი ფლიკი, ვინც აქამდე თავკაცობდა ბავარიულ კლუბს, გერმანიის ნაკრებში გადაინაცვლებს ევროპის ჩემპიონატის შემდეგ. რომელიც 2021 წლის 11 ივნისიდან 11 ივლისამდე გაიმართება.

ნაგელსმანი ბაიერნთან კონტრაქტს 2026 წლამდე გააფორმებს. მიუნხენური გრანდი კი, სანაცვლოდ რეკორდულ თანხას, 25 მილიონ ევროს გადაუხდის.

2020 წელს ბაიერნმა ფლიკის ხელმძღვანელობით ჰეთთრიკი შეასრულა: მოიგო ჩემპიონთა ლიგა, ბუნდესლიგა და გერმანიის თასი.

ახლა გერმანიის ნაკრების დამრიგებლის თანამდებობა ხდება ვაკანტური და გერმანიის საფეხბურთო კავშირის ნომერ პირველი არჩევანი ფლიკი გახდა, რომელმაც ბაიერნის ხელმძღვანელებს გაშვება სთხოვა.

ჰანს ფლიკი:

– ეს 2 წელიწადი ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ემოციებით, გამარჯვებებით, ტიტულებით და ბაიერნში ყოველდღიური მუშაობით დიდი სიამოვნება მივიღე. ეს ჩემი ცხოვრების ძალიან შთამბეჭდავი პერიოდი იყო. წარმატებებს მხოლოდ ერთად მივაღწიეთ. ბაიერნის ოჯახს სამომავლოდ მხოლოდ ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. აქ მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი იყო! მადლობა მათ იმისათვის, რომ შანსი მომცეს, დიდებული გუნდი

გამეწვრთნა. ბაიერნის გულშემატკივრები ძალიან დამაკლდებიან. მას შემდეგ, რაც პანდემია დაიწყო, ისინი ყველა თამაშში ძალიან მაკლდნენ. ბაიერნის ოჯახს სამომავლოდ მხოლოდ ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ.

ბასილაშვილმა მიუნხენის ტურნირი მოგებით დაიწყო

მიუნხენში ბეემვე ოუპენის მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 481.270 ევროა, პირველივე წრეში გამარჯვება მოიპოვა საქართველოს პირველმა ჩოგანმა, ნიკოლოზ ბასილაშვილმა. ჩვენებურის მეტოქე ბრაზილიელი ტიაგო მონტეირო იყო, რომელიც მიიჩნეოდა კიდეც ფავორიტად, მაგრამ ბასილაშვილმა იოლად, 6:2, 6:3 მოუგო.

ბასილაშვილმა ისე დაიწყო, როგორც ბოლო პერიოდში სჩვევია – პირველივე მოწოდება დათმო. თუმცა, იქვე გამოფხიზლდა, მეტოქეს ზედიზედ ორი ბრეიკი გაუკეთა და 5:2 დაწინაურდა. შემდეგ მესამეჯერაც იხეირა და სეტი მარტივად მოიგო.

მეორე სეტიც ჩვენებურის უპირატესობით დაიწყო და ბრეიკის შემდეგ 4:2 დაწინაურდა. ბასილაშვილმა იქვე აგვანერვიულა, საკუთარი მოწოდება გაატანა მეტოქეს და გათანაბრების საშუალება მისცა, მაგრამ მცირე ხნით – იქვე უკუბრეიკი და მერე გამარჯვებამდე საქმის მიყვანა პრობლემა აღარ ყოფილა – 6:3.

მომდევნო წრეში ბასილაშვილი კოლუმბიელ დანიელ რივეროსა და ამერიკელ სებასტიან კოდრას შორის უმჯობესს შეხვდება.

შედეგები

26 აპრილი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ლესტერი-კრ.პალასი 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	33	24	5	4	69-24	77
2.მანჩესტერი	33	19	10	4	64-35	67
3.ლესტერი	33	19	5	9	60-38	62
4.ჩელსი	33	16	10	7	51-31	58
5.ვესტ ჰემი	33	16	7	10	53-43	55
6.ლივერპული	33	15	9	9	55-39	54
7.ტოტენჰემი	33	15	8	10	56-38	53
8.ევერტონი	32	15	7	10	44-40	52
9.ლიდსი	33	14	5	14	50-50	47
10.არსენალი	33	13	7	13	44-37	46
11.ასტონ ვილა	32	13	6	13	46-37	45
12.ვულვზი	33	11	8	14	32-45	41
13.კრ.პალასი	32	10	8	14	34-54	38
14.ბარნლი	33	9	9	15	30-45	36
15.საუთჰემპტონი	32	10	6	16	40-58	36
16.ნიუკასლი	33	9	9	15	36-54	36
17.ბრაიტონი	33	7	13	13	33-39	34
18.ფულემი	33	5	12	16	25-43	27
19.ვესტ ბრომვიჩი	33	5	10	18	30-64	25
20.შეფილდი	33	5	2	26	18-56	17

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კარლსრუე-აუე 0:0

დარმშტადი-ბოხუმი 3:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ეიბარი-სოსიედადი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	33	22	7	4	60-22	73
2.რეალი	33	21	8	4	56-24	71
3.ბარსელონა	32	22	5	5	76-29	71
4.სევილია	33	22	4	7	49-26	70
5.სოსიედადი	33	14	11	8	51-34	53
6.ბეტისი	33	14	8	11	42-45	50
7.ვილიარეალი	33	12	13	8	50-38	49
8.გრანადა	32	12	6	14	41-53	42
9.ბილბაო	32	10	11	11	41-34	41
10.სელტა	33	10	11	12	44-51	41
11.ოსასუნა	33	10	10	13	31-39	40
12.ლევანტე	33	9	11	13	38-46	38
13.კადისი	33	9	10	14	28-49	37
14.ვალენსია	33	8	12	13	41-48	36
15.ხეტაფე	33	8	10	15	26-39	34
16.ალავესი	33	7	10	16	28-49	31
17.ელჩე	33	6	12	15	29-49	30
18.ვალიადოლიდი	32	5	14	13	29-43	29
19.უესკა	33	5	12	16	31-50	27
20.ეიბარი	33	4	11	18	23-46	23

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

რაიო-ალბასეტე 2:2

საბადელი-მალიროკა 1:0

იტალია. სერია ა

ტორინო-ნაპოლი 0:2

ლაციო-მილანი 3:0

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	33	24	7	2	72-29	79
2.ატალანტა	33	20	8	5	78-39	68
3.ნაპოლი	33	21	3	9	73-37	66
4.იუვენტუსი	33	19	9	5	65-30	66
5.მილანი	33	20	6	7	60-41	66
6.ლაციო	32	19	4	9	56-46	61
7.რომა	33	16	7	10	58-51	55
8.სასუოლო	33	14	10	9	55-50	52
9.სამპდორია	33	12	6	15	43-47	42
10.ვერონა	33	11	8	14	40-41	41
11.უდინეზე	33	10	9	14	38-44	39
12.ბოლონია	33	10	8	15	44-53	38
13.ჯენოა	33	8	12	13	37-48	36
14.ფიორენტინა	33	8	10	15	42-54	34
15.სპეცია	33	8	9	16	42-62	33
16.ტორინო	32	6	13	13	46-58	31
17.კალიარი	33	8	7	18	39-56	31
18.ბენევენტო	33	7	10	16	37-66	31
19.პარმა	33	3	11	19	36-70	20
20.კროტონე	33	5	3	25	42-83	18

საფრანგეთი. ლიგა 2

კლერმონი-შტორუ 2:1

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ბელენენსეში-ჟილ ვისენტე 2:1

ბენფიკა-სანტა კლარა 2:1

ნასიონალი-გიმარაეში 1:0

ფამილიკაო-ტონდელა 2:2

მორეირენშე-პორტუ 1:1

საბეიძნეთი. სუპეხლიგა

აპოლონი-ვოლოსი 0:0

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-მიდტიულანდი 3:2

შვედეთი. ალსვენსკა

გიოტებორგი-დეგერფორსი 2:3

ელფსბორგი-მიალბი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხლი ბ



შვეულად: 1. მარცვლეულის შესანახი ხის ნაგებობა დასავლეთ საქართველოში; 2. ხალხური ზეპირსიტყვიერება, ფოლკლორი; 3. მღრღნელი ჭია-მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 5. თეატრალური ცეკვის ხელოვნება; 6. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 9. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 11. ალუბლისგან დამზადებული ფრანგული ლიქიორი; 14. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 16. კუთხე საქართველოში; 18. ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული გამოთვლით ტექნიკაში.

თარაზულად: 1. ღვინის მწარმოებელი ქართული ფირმა; 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 7. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. მუნჯი კინოს ფრანგი კომიკოსი; 12. ისტორიული ციხესიმაგრე ქობულეთის მახლობლად; 13. ჩვილი ბავშვის საწოლი; 15. პაუზა მუსიკალურ მეოდიაში; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული ქართული სამეფო; 19. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 20. ძველებური ინგლისური ოქროს მონეტა; 21. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ცერცვაძე; 2. ქსენონი; 3. ქლესა; 4. თაღლითი; 5. ლექსიკა; 10. დუმპკარი; 11. სუბლიმაცია; 12. ოპტანტი; 15. ფენოლოგია; 16. ფლეგმა; 17. ასპინძა.

თარაზულად: 6. მეფისტოფელი; 7. მარსელო; 8. დიაფანი; 9. მადონა; 13. ტაბუ; 14. ჯულეპი; 18. ბაბანეური; 19. ესაძე; 21. თართი; 22. ვარცლი; 23. კარბონადო; 24. სპარტაკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აბნისი; 4. ქაშანური; 7. ბორნეო; 8. რუსთავი; 12. გიენა; 13. აწყური; 15. ოდეონი; 17. ხაო; 19. ჰემოგლობინი; 20. გიუმი; 21. მიფუნე.

თარაზულად: 1. ალბა; 2. ილორი; 3. დიორი; 5. შირაზი; 6. რაფინადი; 9. ტაიკონავტი; 10. კანდელაკი; 11. პოლიგამია; 14. წრე; 16. ორვილე; 18. სოჭი.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

28 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.4534

ევრო — 4.1765

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.8023

100 რუსული რუბლი — 4.6059

ამინდის პროგნოზი 28 აპრილისათვის

ალეგრი შესაძლოა იუვენტუსში დაბრუნდეს

მასიმილიანო ალეგრი დიდი ალბათობით ზაფხულში იუვენტუსში დაბრუნდება, რადგან მან უკვე რამდენიმე გუნდის შეთავაზება უარყო და ის იუვენტუსთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

იუვენტუსის ხელმძღვანელობა წლევანდელი სეზონით ძალიან უკმაყოფილოა და ანდრეა პირლოს დღეები ტურინულ გუნდში დათვლილია. თითქმის არავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ პირლოს გაუშვებენ.

9 წლის მანძილზე იუვენტუსმა პირველად ვერ მოიგო იტალიის ჩემპიონატი და ამას პირლოს არ აპატიებენ.

სტოუნსი სიტისთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

მანჩესტერ სიტის ცენტრალური მცველი ჯონ სტოუნსი გუნდთან მალე ახალ კონტრაქტს გააფორმებს და მისი ანაზღაურებს კვირაში 600 ათასი ფუნტი სტერლინგი იქნება.

სტოუნსი სიტიში 2017 წელს გადავიდა და მას შემდეგ მან მყარად დაიმკვიდრა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი.

გვარდიოლა მასზე დიდ იმედებს ამყარებს და სტოუნსის გაყიდვა არ განიხილება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

35-მა მოტყუებულმა ქალმა მამაკაცის დაპატიმრებას მიაღწია

იაპონიაში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც თავისი მრავალრიცხოვანი საყვარლების მიმართ თაღლითობაშია ეჭვმიტანილი.

39 წლის ტაკასი მიაგავა ქალებს იმ დროს ეცნობოდა, როდესაც მათთვის საშხაპეს თავების მიყიდვას ცდილობდა. ის საქონელს კომპანიისგან იღებდა, რომელიც ქსელური მარკეტინგით იყო დაკავებული. ტაკასი მათ არწმუნებდა, რომ მათზე დაქორწინება სურდა, შემდეგ კი მათგან თავისი დაბადების დღისთვის საჩუქრებს ითხოვდა, ამასთან ყველას სხვადასხვა თარიღს უსახელებდა.

35 მოტყუებული ქალი გაერთიანდა და თებერვალში მიაგავას შესახებ პოლიციაში განაცხადა. ისინი ამტკიცებენ, რომ მისთვის განკუთვნილ საჩუქრებსა და ტანსაცმელზე მინიმუმ 100 ათასი იენი დახარჯეს. გამორიცხული არ არის, რომ მამაკაცისგან დაზარალებული ქალების რიცხვი გაიზარდოს.

მამაკაცმა მეუღლის სახე ოთხწლიანი ნაცნობობის შემდეგ პირველად ქორწილში ნახა

კანადის პროვინცია ონტარიოს მკვიდრმა საკუთარი მეუღლის სახე პირველად ქორწილის დღეს ნახა, მიუხედავად იმისა, რომ თავის რჩეულს ოთხი წელი იცნობდა. ქალი მუდმივად ჰიჯაბს ატარებდა, რომელშიც მას მხოლოდ თვალები უჩანდა და რომლის მოხსნა ქალს მხოლოდ მეუღლის თანდასწრებით და ოჯახში შეუძლია.

პირველად წყვილი ერთმანეთს უნივერსიტეტში შეხვდა. ისინი ერთად ესწრებოდნენ ლექციებს, ერთმანეთს სწავლაში ეხმარებოდნენ. თუმცა სხვა ურთიერთობა მათ რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე არ ჰქონდათ. რუბინა მუსტაფა მუსლიმანი იყო და ვერ დაუახლოვდებოდა იმ მამაკაცს, თუ შემდეგ მასზე გათხოვებას არ აპირებდა. ხოლო ვინაიდან მამაკაცი მეხდი ისა არტური მისი აღმსარებლობის არ იყო, ისინი ვერ იქორწინებდნენ.

საბოლოოდ სიყვარულმა მამაკაცს ისლამი მიაღებინა და ამის შემდეგ შეყვარებულს ხელი სთხოვა. მხოლოდ დაქორწინების დროს შეძლო მეხდიმ თავისი მეუღლის ჰიჯაბის ქვეშ დამალული სახის ხილვა.

– ის მთლად ისე არ გამოიყურებოდა, როგორც წარმოდგენილი მყავდა, თუმცა მისი გარეგნობით სასიამოვნოდ მოხიბლული დავრჩი, – განაცხადა მეხდი ისა არტურმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– იცი, რუსებს აქვთ ასეთი ნათქვამი: „კარგია იქ, სადაც ჩვენ არ ვართ“.

– მე კი დავაზუსტებდი, არა უბრალოდ იქ, სადაც ისინი არ არიან, არამედ იქ, სადაც არასოდეს ყოფილან!

●●●

ხელისუფლების მეთაურს თანაშემწე მოახსენებს:

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, ორი ახალი კარგი ამბავი მაქვს.

– კარგით დაიწყე.

– მეცნიერების რაოდენობა ხუთჯერ გაიზარდა...

– და ცუდი?

– ქვეყნიდან წასულების.

●●●

მამაკაცი სექსოპათოლოგს შესჩივის, რომ სქესობრივი ცხოვრება აღარ აქვს. ექიმი ეკითხება:

– ბოლოს როდის იწექით ცოლთან?

– აღარც მახსოვს, ექიმო, ერთი წუთით ცოლს გადავურეკავ და ვკითხავ... ალო, ძვირფასო, ბოლოს როდის გვქონდა სექსი მე და შენ?

– რომელი ხარ?

●●●

მამა შვილს არიგებს:

– შვილო, თუ გამცირებენ, შეურაცხმყოფელს ნიჩაბი სთხლიშე სიფათში!

– კი მაგრამ, მამა, მე ხომ გოგო ვარ!

– შეგიძლია, ვარდისფერი ნიჩაბი გამოიყენო!

კახი კავსაძე გარდაიცვალა



85 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი კახი კავსაძე გარდაიცვალა.

დიმიტრი ხვთისიაშვილი, რეჟისორი:

– ყოველმხრივ გამორჩეულო უფროსო მეგობარო! მშვიდობით! კახო, რა უცნაურია, გივიც ვნების კვირაში წავიდა და შენც! ეტყობა, ღმერთს უყვარხართ!

დათა თავაძე, რეჟისორი:

– საშინლად დამწყვიტა გული ბატონი კახი კავსაძის წასვლამ. არასოდეს არ დამავიწყდება ის სითბო, რასაც თითოეული ჩვენგანი გრძნობდა მის გვერდით.

მის ცხოვრებისეულ ნაბიჯებს – გამძლეობას, გამბედაობას, ადამიანებისა და საქმის სიყვარულს – მაგალითებად, ლამის იგავებად ვუყვებით ერთმანეთს. ის იყო დიდი ადამიანი, ვინც 9 აპრილს რუსთაველის თეატრის ჭიშკარი გახსნა და დარბეული ხალხი შეიფარა და ეს მხოლოდ ერთ-ერთია სხვა მრავალ სამაგალითო საქციელს შორის...

მშვიდობით, ბატონო კახი, ძალიან მოგვენატრებით!

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დიტო ცინცაძის ფილმმა მთავარი ჯილდო მოიპოვა

ქართველი რეჟისორის დიტო ცინცაძის ფილმმა „ჩაისუნთქე ამოისუნთქე“ მთავარი ჯილდო მოიპოვა.

ნამუშევარი საუკეთესო ფილმად დაასახელეს და რუსეთის კინოაკადემიის მთავარი ჯილდო „ნიკა“ მიანიჭეს.

„ჩაისუნთქე ამოისუნთქე“ არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია.

შორენა ბეგაშვილი ტელეეკრანს უბრუნდება

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან წასული შორენა ბეგაშვილი მაია ასათიანის მსგავსად, „ტვ პირველზე“ გადავიდა.

მისი გადაცემა „შორენას ეფექტი“ სულ მალე ტელეეკრანებს დაუბრუნდება. გადაცემის სარეკლამო რგოლი ტელეკომპანიის ეთერში უკვე ტრიალებს.

ქეთი ორჯონიკიძემ პედაგოგობა დაიწყო

მომღერალმა ქეთი ორჯონიკიძემ პედაგოგობა დაიწყო და მზად არის საკუთარი გამოცდილება სიმღერის შესწავლის მსურველებს გაუზიაროს.

ქეთიმ თავისი მუსიკალური სტუდია სამოდელო სააგენტო „კატრინთან“ ერთად დააფუძნა და 5-დან 25 წლამდე მსურველებთან იმუშავებს:

– ჩვენს ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვრებს გარეთ მიიღონ მონაწილეობა კონკურსებში, ფესტივალებში, კონცერტებსა და სატელევიზიო გადაცემებში.

სოფი ვილი მთავრობას აკრიტიკებს

მომღერალი სოფი ვილი (ხუციშვილი) მთავრობას აკრიტიკებს და ხელოვანი ადამიანებისადმი უყურადღებობაში სდებს ბრალს:

– გამზადებული პროექტი, რომელიც ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებს სულ მცირედით მაინც დაეხმარებოდა ამ უმძიმეს პერიოდში, ისევ გადადეს და თაროზე შემოდეს! ნუთუ სხვა რომელიმე „პროექტი“ უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანების გადარჩენის საკითხი დგას? არ ვიცი, როგორ არ უნდა გაგიჩნდეს პრობესტი, როდესაც ყველა ნორმალურ ქვეყანაში, სრულიად უშემოსავლოდ დარჩენილ მუსიკოსებსაც და მსახიობებსაც მთავრობა ეხმარება პანდემიის დროს.

ჩვენ ვარსებობთ საერთოდ? პროექტი დაიწერა, შეხვედრებიც შედგა და ისევ გულგრილობა და გადაგდება?! როდემდე?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

28 აპრილისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო გადამოწმების შემდეგ მიიღეთ. **კურო** – დისციპლინირებულობა, მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. **ტყუპები** – ჭორებს ნუ აჰყვებით. იღბლიანი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. **კირჩხიბი** – ენერგიულად ხართ. ისეთ საქმეებსაც კი მარტივად აგვარებთ, რომლებსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. **ლომი** – პერსპექტიული დღეა. ახალი იდეების რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. ნებისმიერი წამოწყება სასურველი შედეგით დამთავრდება. **ქალწული** – საკმაო სირთულეები შეგხვდებათ. შესაძლოა, ვალის დაბრუნება და ხელახლა აღება მოგიწიდეთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. უმჯობესია, თუ ჯერ დაწყებულ საქმეს დაამთავრებთ. **ღრიანკალი** – არ გარისკოთ. ყველა საქმე მომდევნო კვირისათვის გადადეთ. დაეხმარეთ ბავშვებსა და მეგობრებს. **მშვილდოსანი** – გამორიცხული არ არის, საქმიან შეხვედრაზე გაემგზავროთ ან შემოქმედებითი არეალი გაიფართოვოთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – საქმიანი პარტნიორები იმედს გაგიცრუებენ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **მერწყული** – აქტიური, ნაყოფიერი დღეა. ნებისმიერი პრობლემა დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. იყავით გონიერი და წინდახედული. **თევზები** – ინტუიცია გიმახვილდებათ. შინაგან ხმას მოუსმინეთ და სპონტანურად ნუ იმოქმედებთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯვარედინი



შვეულად: 1. ებრაული სამლოცველო; 2. მუქი წითელი ფერის კურკოვანი ხილი; 3. მთავარი არტერია; 4. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 5. მოჩვენებითი მამაცობა; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. აშშ-ის პირველი პრეზიდენტი; 12. სამხედრო გემების დიდი შენაერთი; 15. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 16. გერმანული ფარმაცევტული კომპანია; 17. ქართველი მწერლის კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 20. შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება.

თარაზულად: 1. სამოქალაქო სამართალი; 7. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 9. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 13. არომატული მატონიზირებელი უალკოჰოლო სასმელი; 14. ბრაზილიური არაყი; 18. ფრანგული ვაშლის არაყი; 19. გემების სადგომი ნავსადგურში; 21. გურულების, აჭარლების, მესხების მოკლე ჩოხა; 22. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 23. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 24. სპორტის, სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა